



ევროკავშირი
საქართველოსთვის



იუსტიციის უმაღლესი სკოლა, სავადიბუდო საფასური მოსამართლეობაზე

შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა



**იუსტიციის უმაღლესი სკოლა, სავალდებულო
საფუძვრი მოსამართლეობამდე
შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა**

მასალა მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

კვლევის ხელმძღვანელები: ნინო ჯორდოშვილი
თამარ ხუცი

ავტორები: ნინო ნიჭიძე
მანია ბაქრაძე (მომზადა კვლევის
საერთაშორისო ნაწილი)

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	5
კვლევის მეთოდოლოგია	7
1. იუსტიციის სკოლის ფუნქცია და ადგილი საერთო სასამართლოების სისტემაში	8
1.1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრუქტურა და მართვის ორგანოები	9
1.2. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო	9
1.3. სკოლის დირექცია	12
2. მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი	13
2.1. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა	13
2.2. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა ჩარიცხვა	15
2.3. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის ეტაპები	19
2.4. მოსამართლეთა ვაკანსიების განსაზღვრა	21
2.5. იუსტიციის უმაღლესი სკოლის არსებული მოდელის გამოწვევები	23
3. წინასამოსამართლო სწავლების სისტემები ევროპაში	26
3.1. წინასამოსამართლო მომზადების სისტემის მნიშვნელობა და ზოგადი დახასიათება სამართლის სისტემების მიხედვით	26
3.2. წინასამოსამართლო განათლების დაწესებულებები და მათი ადგილი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში	29
3.3. სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული სკოლის მოდელი	31
3.4. იუსტიციის სამინისტროსთან დაკავშირებული მოდელი	33
3.5. შერეული მოდელები	34
3.6. სამოსამართლო სწავლება - მოსამართლედ დანიშვნის სავალდებულო წინაპირობა	35
3.7. წინარე სწავლება მართლმსაჯულების სკოლის გარეთ	35

4. მართლმსაჯულების სკოლაში ჩარიცხვისა და სწავლების ეტაპები	37
4.1. ჩარიცხვისთვის საჭირო გამოცდილება	37
4.2. მიმღები ორგანო და პროცედურები	38
პოლონეთი	38
რუმინეთი	39
ჩეხეთი	41
ლიეტუვა	43
ესტონეთი	44
შეჯამება	46

შესავალი

მოსამართლეობას, როგორც უმაღლესი სოციალური ღირებულების მქონე პროფესიას, დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ასეთ საზოგადოებაში კანონის უზენაესობა სასამართლო სისტემის მიმართ ნდობით მიიღწევა. მოსამართლეობის კანდიდატებისა და ახლად დანიშნული მოსამართლეების მომზადება, მათი სპეციალური ცოდნითა და უნარებით აღჭურვა სასამართლოსადმი ნდობის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.¹

მიუხედავად სამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავებებისა, თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ მხოლოდ იურიდიული განათლება საკმარისი არ უნდა იყოს მოსამართლედ დანიშვნისთვის. სამართალმემფარდებლის უმნიშვნელოვანესი როლი და პასუხისმგებლობა მოითხოვს სისტემურ ცოდნასა და უნარებს, შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულ მექანიზმებს პოულობს, რათა კანდიდატი მომზადებული შეხვდეს მომავალი საქმიანობის სირთულეებს.

მოსამართლეთა მომზადება არ გულისხმობს მხოლოდ პროფესიულ კომპონენტს. ის, იმავდროულად, უნდა იყოს მრავალმხრივი, პრაქტიკული და ორიენტირებული მოსამართლის მიერ პროცესის ეფექტიანად მართვის, სამართლებრივად გამართული გადაწყვეტილების მიღების უნარების გამომუშავებაზე. ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად, სათანადო საწყისი მომზადება პროფესიული დამოუკიდებლობის აუცილებელი კომპონენტია.² მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით, დამოუკიდებელმა ორგანომ, საგანმანათლებლო ავტონომიის სრული დაცვით, უნდა უზრუნველყოს, რომ წინასწარი მომზადების პროგრამები აკმაყოფილებდეს სასამართლო თანამდებობისთვის დამახასიათებელი ღიაობის, კომპეტენციისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს.³

¹ Marina Samofal, Experience of initial training of candidates for a post of judge and newly appointed judges in the member States of European Union. იხ. High Qualification Commission of Judges of Ukraine: <https://vkksu.gov.ua/page/experience-initial-training-candidates-post-judge-and-newly-appointed-judges-member-states>, განახლებულია: 24.06.2025.

² CDL-AD(2024)036, Serbia- Opinion on the draft Law on the Judicial Academy and draft amendments to the Law on Judges and the Law on the Public Prosecutor's Office, §§ 22-23.

³ CM/Rec(2010)12- Recommendation of the Committee of Ministers to member states on judges: independence, efficiency and responsibilities (Adopted by the Committee of Ministers on 17 November 2010 at the 1098th meeting of the Ministers' Deputies), §57, [https://search.coe.int/cm/#\[?%22CoIdentifier%22:\[%2209000016805afb78%22\],%22sort%22:\[%22CoValidation-Date%20Descending%22\]\]](https://search.coe.int/cm/#[?%22CoIdentifier%22:[%2209000016805afb78%22],%22sort%22:[%22CoValidation-Date%20Descending%22]]).

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (CCJE) ჯერ კიდევ 2003 წელს მიიღო დასკვნა, რომელიც სწორედ მოსამართლეთა მომზადებას უკავშირდება. მასში ხაზგასმულია, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა მოსამართლეებს ანიჭებს უფლებებს, მაგრამ ასევე აკისრებს ეთიკურ მოვალეობებს.⁴ ეს გულისხმობს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ მაღალი პროფესიული უნარები, რომლებსაც შეიძენენ, შეინარჩუნებენ და გააუმჯობესებენ იმ ტრენინგებით, რომელთა გავლის უფლება და ვალდებულებაც აქვთ.⁵ სამოსამართლო თვისებათაგან ზოგი თანდაყოლილი პიროვნული მახასიათებელია (პატიოსნება, მიუკერძოებლობა, სოციალური მგრძნობელობა), ნაწილი თვისებებისა შეძენადია და სწავლებას ექვემდებარება.⁶ იმის გათვალისწინებით, რომ ტრადიციული საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში სამოსამართლო ცოდნისა და უნარ-ჩვევების სრულად დაუფლება ვერ ხდებოდა, გააქტიურდა დისკუსია მოსამართლეთა პროფესიული სწავლების სისტემის საჭიროებაზე.⁷

⁴ CONSULTATIVE COUNCIL OF EUROPEAN JUDGES(CCJE)OPINION No. 4, OF THE CONSULTATIVE COUNCIL OF EUROPEAN JUDGES (CCJE), TO THE ATTENTION OF THE COMMITTEE OF MINISTERS OF THE COUNCIL OF EUROPE. Para 34.

⁵ იქვე.

⁶ Luis Muniz-Arguelles; Migdalia Fraticelli-Torres, Selection and Training of Judges in Spain, France, West Germany, and England, Boston College International and, Comparative Law Review 8, no. 1 1985, 1-2.

⁷ Diana Richards, Current Models of Judicial Training: An Updated Review of Initial and Continuous Training Models Across Western Democratic Jurisdictions, Journal of the International Organization for Judicial Training, issue 5, 2016, 43.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია სკოლის წინაშე არსებული სისტემური გამოწვევების იდენტიფიცირება და, შედარებითი ანალიზის გამოყენებით, მათი დაძლევის მეთოდების ძიება. **კვლევა შედგება ოთხი თავისგან. პირველი და მეორე თავი** ეხება არსებულ მოდელს, გაანალიზებულია სკოლის შესახებ ნორმატიული რეგულაციები, ასევე, წინა წლებში ჩატარებული კონკურსების დროს გამოვლენილი საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები. გარდა ამისა, აღწერილია იუსტიციის სკოლაში ჩარიცხვის და სწავლების ეტაპები, ის გარემოებები, რომლებიც, შესაძლოა, განაპირობებდეს სისტემაში ვაკანსიების მაღალ რაოდენობას და მოსამართლის პროფესიით იურისტების ნაკლებ დაინტერესებას. მესამე და მეოთხე თავში განხილულია ევროპული ქვეყნების სკოლების მოდელები – ერთი მხრივ, მათი ორგანიზაციული დამოუკიდებლობის, ხოლო, მეორე მხრივ, სისტემაში საკმარისი სამოსამართლო კადრების შედინების კოორდინირების მიმართულებით.

საკვლევი ქვეყნები შერჩეულია მხოლოდ იმ სამართლებრივი სისტემებიდან, რომლებშიც მოსამართლეები პროფესიული ნიშნით ინიშნებიან. ამ ქვეყნებს შორისაა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. ამ უკანასკნელის სამართლებრივი სისტემები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, მეტად მდგრადია, რაც განპირობებულია დამოუკიდებლობის ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებით. ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში მართლმსაჯულების სახელისუფლებო შტოს დამოუკიდებლობის ხარისხი შედარებით მცირეა. შესაბამისად, მოსამართლეთა შერჩევისას ამ ქვეყნებს განსხვავებული გამოწვევები აქვთ.⁸

ნაშრომის შექმნისას გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდები: ანალიტიკური, დესკრიფციული, ნორმატიული, შედარებით-სამართლებრივი და ისტორიული. სწორედ ამ მეთოდების საფუძველზე გაანალიზდა მოსამართლეთა სავალდებულო წინასწარი განათლების მოდელებისა და მათი განმახორციელებელი ინსტიტუციების კვლევა და შეფასება.

⁸ James E. Moliterno, Lucia Berdisová, Peter Čuroš, & Ján Mazúr, Independence Without Accountability: The Harmful Consequences of EU Policy Toward Central and Eastern European Entrance.

1. იუსტიციის სკოლის ფუნქცია და ადგილი საერთო სასამართლოების სისტემაში

საქართველოში, ორგანო, რომელიც იზრუნებდა მოსამართლეთა საწყის და განგრძობად განათლებაზე – იუსტიციის უმაღლესი სკოლა – 2006 წლის აპრილში შეიქმნა.⁹ იქამდე მოსამართლე თანამდებობაზე საბჭოს წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიშნებოდა.¹⁰ კანდიდატს მხოლოდ გამოცდის ჩაბარება მოეთხოვებოდა.¹¹

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დაარსება ევროპის საბჭოს ინიციატივასა და მხარდაჭერას უკავშირდება, მიზანი კი საქართველოში მართლმსაჯულების სფეროს მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა იყო.¹² სკოლის წესდების შესაბამისად, მისი ამოცანაა მსმენლებად კეთილსინდისიერი და კომპეტენტური ადამიანების მიღება, იუსტიციის მსმენელის პროფესიული მომზადება, რაც მოიცავს როგორც პროფესიულ სწავლებას, ასევე მისი მოქმედების თავისუფლების შეცნობის ხელშეწყობას, მის ინტეგრირებას სოციალურ გარემოში, რომელშიც მოუწევს საქმიანობა და ა.შ.¹³

საქართველოში იუსტიციის უმაღლესი სკოლა მხოლოდ მოსამართლეთა მომზადებაზე არ არის პასუხისმგებელი, არამედ მისი მიზანია საერთო სასამართლოების სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით (თანამშემწეები, სხდომის მდივნები და ა.შ.) დაკომპლექტება.¹⁴ მოსამართლეობის კანდიდატთა პროფესიული მომზადების, მოსამართლეებისა და სასამართლოს მოხელეების გადამზადების გზით, სკოლა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მართლმსაჯულების ზოგად მდგომარეობას ქვეყანაში და მას ეს ფუნქცია ექსკლუზიურად აქვს.¹⁵

⁹ იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.hsoj.ge/geo/about_us/history, განახლებულია: 13.08.2025.

¹⁰ აბაშიძე ა. არგანაშვილი ა. და სხვები, „სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, თბილისი, 2017, გვ. 37, ხელმისაწვდომია: http://coalition.ge/index.php?article_id=150&clang=0, განახლებულია: 13.08.2025.

¹¹ იქვე.

¹² იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.hsoj.ge/geo/about_us/history, განახლებულია: 13.08.2025.

¹³ იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდება, მუხლი 2.

¹⁴ იქვე.

¹⁵ ვერძული ს. „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში, 2013-2021“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021, გვ. 20, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/post/judicial-system-reform-in-georgia-2013-2021>, განახლებულია 13.08.2025.

იუსტიციის უმაღლეს სკოლას შეეხო მართლმსაჯულების სფეროში გატარებული რეფორმის ტალღები, თუმცა ამან ვერ უზრუნველყო ძირითადი პრობლემებისა და ინსტიტუციური გამოწვევების დაძლევა. ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილებები 2025 წლის 26 ივნისს დაჩქარებული წესით მიიღო საქართველოს პარლამენტმა.¹⁶ კანონპროექტმა მნიშვნელოვნად გააუარესა იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა ამისა, კიდევ უფრო მეტად შეასუსტა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ისედაც მყიფე გარანტიები. ამ ცვლილებებით, გავლენიანი ჯგუფის სრული დომინირება სკოლის დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების ნაწილში არათუ არ შესუსტდა ან დაბალანსდა, არამედ უფრო გაძლიერდა.

1.1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრუქტურა და მართვის ორგანოები

იუსტიციის უმაღლესი სკოლის მართვის ორგანოებია დამოუკიდებელი საბჭო და დირექცია.¹⁷ დამოუკიდებელი საბჭო განსაზღვრავს სწავლებას და, ზოგადად, სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, ხოლო დირექცია პასუხისმგებელია აღსრულებაზე.

1.2. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო

იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის მიმართულებებს განსაზღვრავს, კოორდინაციას უწევს და აღსრულებას ზედამხედველობს იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელი საბჭო.¹⁸ საერთო სასამართლოების სისტემაში მისი როლიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, დამოუკიდებელ საბჭოს რეფორმები რამდენჯერმე შეეხო.

პირველი ტალღის რეფორმის დროს შესუსტდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის როლი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოსთან მიმართებით. შედეგად, იგი აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ საბჭოს

¹⁶ 2025 წლის ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2025, ხელმისაწვდომია: [https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/saerto-sasamart_geo%20\(3\)%20\(1\).pdf?fbclid=IwY2xjawMJIKVleHRuA2FibQIxMABicmlkETE5dDNoSig4dG9UNml6YlZyAR4-SG-TXjC-7DyfXaQK_4zSOYyhYfvO-xbhiRaV44fZKISxFf3-UmtXkAc0_Nw_aem_eUHIgWAm8yVRj4v4YCGA-fA](https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/saerto-sasamart_geo%20(3)%20(1).pdf?fbclid=IwY2xjawMJIKVleHRuA2FibQIxMABicmlkETE5dDNoSig4dG9UNml6YlZyAR4-SG-TXjC-7DyfXaQK_4zSOYyhYfvO-xbhiRaV44fZKISxFf3-UmtXkAc0_Nw_aem_eUHIgWAm8yVRj4v4YCGA-fA), განახლებულია: 13.08.2025.

¹⁷ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66²-ე მუხლი.

¹⁸ იქვე, 66³-ე მუხლის პირველი პუნქტი.

წევრი. იუსტიციის საბჭოსა და კონფერენციაზე განაწილდა წევრების არჩევის უფლებამოსილებაც. ასევე, კონფერენცია ირჩევდა თავმჯდომარეს.¹⁹ მეოთხე ტალღის რეფორმის დროს შეიცვალა დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტების წესი: შემადგენლობა ერთი წევრით გაიზარდა და დადგინდა კვოტები მოსამართლე და არამოსამართლე წევრებისთვის.²⁰ მისი თავმჯდომარის არჩევის ლეგიტიმაცია კი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დარჩა.²¹ ბოლო ცვლილებები დამოუკიდებელ საბჭოსთან დაკავშირებით 2025 წლის ივნისში განხორციელდა. დღეს მოქმედი რედაქციით, საბჭო შედგება 7 წევრისგან. მისი წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, საკმარისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება.²² დამოუკიდებელი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.²³

დამოუკიდებელი საბჭოს 3 წევრს 4 წლის ვადით ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ცვლილებებამდე მოსამართლეთა კონფერენცია შეზღუდული იყო ინსტანციური კვოტებით, ანუ მის მიერ დასანიშნი სამი წევრიდან ყველას უნდა წარმოედგინა სხვადასხვა ინსტანცია. ეს ჩანაწერი, მართალია, ფორმალურად მაინც, ხელს უწყობდა წარმომადგენლობას, თუმცა, მოქმედი რედაქციით, ეს შეზღუდვაც მოიხსნა.²⁴

დამოუკიდებელი საბჭოს 2 წევრს (1 მოსამართლე წევრს და 1 არამოსამართლე წევრს), მათი, როგორც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების, უფლებამოსილების ვადით ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან.²⁵

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ირჩევს დარჩენილ ორ წევრსაც. პროცედურის მიხედვით, საბჭოს მინიმუმ სამ წევრს შეუძლია, წარადგინოს კანდიდატი.²⁶ 2025 წლამდე მოქმედი რედაქციით, ეს წევრები აკადემი-

¹⁹ ვერძეული ს. „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში 2013-2021“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021, გვ. 22, ხელმისაწვდომია: <https://gyia.ge/post/judicial-system-reform-in-georgia-2013-2021>, განახლებულია 13.08.2025.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

²² საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66²-ე მუხლის მეორე პუნქტი.

²³ იქვე, მე-3 პუნქტი.

²⁴ იქვე, 66³-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

²⁵ იქვე.

²⁶ იქვე, მე-5 პუნქტი.

ური სფეროს წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა დღევანდელი მოცემულობით, ეს შეზღუდვაც გაუქმდა.²⁷

შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 4 წევრს. საბჭოს უფლებამოსილებები სკოლის დამოუკიდებელ საბჭოსთან მიმართებით ამით არ ამოიწურება. ის კონფერენციის მიერ არჩეული წევრებიდან თავად ნიშნავს სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს.²⁸ თუმცა, მოადგილე ან მოადგილეები დამოუკიდებელი საბჭოს მიერ ინიშნებიან.²⁹ მოქმედი რედაქციის შესაბამისად, შესაძლებელია დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს რამდენიმე მოადგილე ჰყავდეს. ცვლილებებით, ანაზღაურებადი გახდა თავმჯდომარის საქმიანობა. ამასთანავე, მისი არჩევა აღარ არის შეზღუდული ერთი ვადით.³⁰

დამოუკიდებელი საბჭოს წევრს, თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, თანამდებობიდან ათავისუფლებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ცვლილებებამდე ეს პრეროგატივა ჰქონდა მოსამართლეთა კონფერენციას.³¹

დამოუკიდებელ საბჭოს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები აქვს როგორც ადმინისტრაციულ, ისე შინაარსობრივ ნაწილში: იგი ამტკიცებს წესდებას, იღებს გადაწყვეტილებას სკოლაში მსმენელის ჩარიცხვისა ან გარიცხვის თაობაზე, ამტკიცებს ბიუჯეტს, სასწავლო პროგრამებს, თეორიული კურსისა და დამამთავრებელი გამოცდის პროგრამებს და ა.შ.³² გარდა ამისა, ამტკიცებს სამტატო განრიგს და ზედამხედველობს სკოლის დირექციას.³³

სასამართლო სისტემის ძირეული რეფორმა, რომელიც ევროკავშირის მიერ გაცემულ რეკომენდაციებშიც არის ასახული, ქვეყნისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ამ პირობებში, ივნისში დაჩქარებულად განხორციელებული ცვლილებები - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებების გაფართოება, მენეჯერული თანამდებობის დაკავების ჯერადობის გაზრდა, მოადგილეების რაოდენობის თავად განსაზღვრის პრეროგატივა და ანაზღაურების დანიშვნა - კიდევ უფრო ზრდის იუსტიციის საბჭოს როლს და გავლენას იუსტიციის უმაღლეს

²⁷ იქვე, მე-6 პუნქტი.

²⁸ იქვე, მე-5 პუნქტი.

²⁹ იქვე, მე-6 პუნქტი.

³⁰ იქვე, მე-8 პუნქტი.

³¹ იქვე, 66⁴-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

³² იქვე, 66³-ე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტები.

³³ იქვე.

სკოლაზე, შესაბამისად, სისტემას სრულად გავლენიანი ჯგუფის ძალა-
უფლებას უქვემდებარებს.

1.3. სკოლის დირექცია

სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, მოადგილისა და სტაჟირე-
ბის ხელმძღვანელისგან.³⁴ სკოლის დირექტორს, ძირითადად, აღმას-
რულებელი ფუნქციები აკისრია. იგი წარმოადგენს სკოლას, უზრუნვე-
ლყოფს მის ფუნქციონირებას, დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტი-
ლებების აღსრულებას და ა.შ.³⁵

სკოლის დირექტორი თანამდებობაზე აირჩევა ხუთი წლით.³⁶ ორგა-
ნული კანონის მიხედვით, პირი ამ თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს
დამოუკიდებელი საბჭოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ აქვს იურიდიული
განათლება, მუშაობის სამწლიანი გამოცდილება და არის 25 წელს
ზემოთ.³⁷ 2025 წლის ცვლილებებამდე დირექტორის არჩევა ზედიზედ
მესამედ და მეტჯერ არ იყო დაშვებული, თუმცა ეს შეზღუდვა გაუქმდა.
გარდა ამისა, დირექტორს უკვე შეუძლია, ჰყავდეს ორი მოადგილე.

გაუგებარია, როდესაც, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესა-
ბამისად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათ-
ლებლო დაწესებულების ხელმძღვანელიც კი არ შეიძლება, ზედიზედ
ორ ვადაზე მეტით იყოს არჩეული თანამდებობაზე,³⁸ რატომ არის და-
საშვები იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის არჩევა, ფაქტო-
ბრივად, განუსაზღვრელი ვადით.

³⁴ იქვე, 66⁶-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³⁵ იქვე, 66⁷-ე მუხლი.

³⁶ იქვე, 66⁶-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

³⁷ იქვე, მე-3 პუნქტი.

³⁸ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

2. მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი

სასამართლო სისტემაში ახალი კადრების შედინებაზე სრული კონტროლი იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს. ეს უფლებამოსილება, სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, სისტემის გასაკონტროლებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია. მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა და დანიშვნის წესის დახვეწისა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ცვლილებები რეალობაში არ მუშაობს, ფასადური ხასიათისაა და მუდმივ კრიტიკას იმსახურებს.³⁹

საბჭო სრულად არის პასუხისმგებელი რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეების დანიშვნაზე კონკურსის წესით.⁴⁰ ამისთვის აუცილებელი წინაპირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსის გავლა.⁴¹ საბჭო ასევე არის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნომინირებაზე პასუხისმგებელი ორგანო.⁴² ივნისში მიღებული ცვლილებებით, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება მოეთხოვებათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებსაც.

2.1. მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება გააჩნია საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.⁴³

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება: ა) უზენაესი სასამართლოს მოქმედ ან ყოფილი წევრს; ბ) საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედ ან ყოფილი წევრს და გ) საერთო სასამართლოს

³⁹ ნინო ნოზაძე და ოლღა შერმადინი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №7, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2019, გვ. 16-25, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2zqPX2X>, განახლებულია: 31.10.2025; ნინო ნოზაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2020, გვ. 14-21, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qTcutK>, განახლებულია: 31.10.2025.

⁴⁰ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴¹ იქვე, 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴² საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴³ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

ყოფილ მოსამართლეს, სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 წლის გასვლამდე.⁴⁴ საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები ძალას კარგავს, თუ პირი გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ ჩაირიცხება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ან არ აირჩევა მოსამართლის თანამდებობაზე.⁴⁵

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდას აცხადებს და ატარებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.⁴⁶ ის ასევე ადგენს გამოცდის ჩატარების ფორმას, თარიღს, ვადებს.

საბჭო, რეგლამენტით დადგენილი წესით, ქმნის კომისიას და ამტკიცებს მის შემადგენლობას. კანონით არ არის განსაზღვრული საგამოცდო კომისიის წევრის შერჩევის კრიტერიუმები.⁴⁷ ასევე, ის თავად განსაზღვრავს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს და პროგრამას,⁴⁸ რაც მას აძლევს ფართო უფლებამოსილებას, არასათანადო გავლენა მოახდინოს სკოლაში მსმენელთა მიღების პროცესზე.

მაშინ, როდესაც საგამოცდო კომისიის წევრების შერჩევაზე სრული დისკრეცია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს, პრობლემურია ის ძალიან ზოგადი კრიტერიუმები (5-წლიანი გამოცდილება, მაგისტრი, „მაღალი რეპუტაცია“), რომლებიც საგამოცდო კომისიის წევრების ასარჩევადაა დადგენილი.

საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა ითვალისწინებს გამოცდის ჩატარებას ტესტური მეთოდით, ხოლო, მისი წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, პირი ასევე აბარებს წერით გამოცდას, რაც მოიცავს მისი ცოდნის შემოწმებას საკონსტიტუციო, სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართალსა და ადამიანის უფლებებში.⁴⁹ კანდიდატი გამოცდაზე რეგისტრირდება საერთო ან ერთ-ერთი სპეციალიზაციის მიხედვით. სპეციალიზაცია ხდება სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დარგებში.

ტესტური გამოცდა ტარდება ელექტრონულად. საგამოცდო ტესტი შეიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისთვის გათვალისწინებული სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით შედგენილ და არჩევით პასუხიან დავალებას.⁵⁰ დავალებები, სირთულის მიხედვით, იყოფა სამ

⁴⁴ იქვე, 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴⁵ იქვე, 53-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁴⁶ იქვე, 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ იქვე, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁹ იქვე, მე-3 პუნქტი.

⁵⁰ „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საკვალიფი-

დონედ: მარტივი, საშუალო და რთული. დავალების ყოველი საკითხი შედგება ორი ნაწილის – პირობისა და ოთხი სავარაუდო პასუხისგან.

გამოსაცდელი, რომელიც ტესტურ გამოცდაში დააგროვებს 75 ან მეტ ქულას, გადადის შემდეგ ეტაპზე და უფლება აქვს, ჩააბაროს წერიტი გამოცდა.

წერიტი გამოცდის ტესტი შეიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისთვის გათვალისწინებული სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით შედგენილ და ღია პასუხიან 5 დავალებას. თითოეული დავალება ფასდება ხუთქულიანი სისტემით. წერიტი გამოცდა ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ გამოსაცდელი დააგროვებს, სულ ცოტა, 15 ქულას.⁵¹

დავალებას აფასებს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის ორი წევრი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ანონიმურად, წინასწარ შედგენილი შეფასების სქემის მიხედვით.⁵² იმ შემთხვევაში, თუ შეფასებები იდენტურია, ნიშანი აისახება სისტემაში. თუ მათ შორის სხვაობა არ აღემატება ერთს, დავალება ფასდება საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის წევრთა შეთანხმებით, ხოლო თუ ნიშნებს შორის სხვაობა აღემატება ერთს, შეფასებისას გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.⁵³

არ არის გამჭვირვალე, წერიტი ნაშრომის გასწორებისას რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს კომისიის წევრი, ან რას მოიცავს „შეფასების სქემა“. ამ ფართო და დაუბალანსებელი უფლებამოსილებით კიდევ ერთხელ და ნათლად ჩანს, რომ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებაზე კონტროლი მთლიანად საბჭოს ხელშია.

2.2. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა ჩარიცხვა

იუსტიციის უმაღლესი სკოლა აუცილებელი საფეხურია სისტემაში ახალი კადრების შესასვლელად, ვინაიდან სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირი, სკოლის სრული სასწავლო კურსის გავლის გარეშე, მოსამართლედ ვერ დაინიშნება.⁵⁴

კაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ” საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 19 მარტის #1/152 გადაწყვეტილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵¹ იქვე, მე-19 მუხლი.

⁵² იქვე, 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁵³ იქვე.

⁵⁴ იქვე, 34-ე მუხლის პირველი პუნქტი.

როგორც აღინიშნა, მსმენელთა მისაღებ კონკურსს სკოლა ატარებს,⁵⁵ მაგრამ ამის თაობაზე გადაწყვეტილებას კვლავ იუსტიციის საბჭო იღებს.⁵⁶ ასევე, კონკურსის გავლის შემდეგ საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ირიცხება პირი იუსტიციის მსმენელად.⁵⁷

კანონმდებლობით, სკოლა პასუხისმგებელია მსმენელის თეორიული ცოდნის გაღრმავებასა და მისთვის პრაქტიკული მუშაობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.⁵⁸

სკოლა მსმენელთა მისაღებად აცხადებს საჯარო კონკურსს,⁵⁹ განსაზღვრავს მასში მონაწილეობისთვის კანდიდატთა მიერ განაცხადების წარდგენის ვადას, რომელიც, ობიექტური საჭიროებისას, შეიძლება გაგრძელდეს. საბჭოს გადაწყვეტილებით. კონკურსის შესახებ შეტყობინება უნდა გამოქვეყნდეს სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

სკოლის საბჭო, დირექტორის წარდგინებით, აპარატის თანამშრომლებისგან ქმნის კონკურსის საორგანიზაციო სამდივნოს (შემდგომში - სამდივნო) და თავისივე წევრებიდან ნიშნავს სამდივნოს უფროსს, რომელიც ხელმძღვანელობს სამდივნოს მუშაობას კონკურსის დასრულებამდე.⁶⁰

სამდივნოს ევალება კანდიდატთა განაცხადების და თანდართული საბუთების კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, ასევე, საბჭოსთვის სათანადო ანგარიშის წარდგენა.⁶¹

სკოლაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან, ნასამართლობის არმქონე მოქალაქეს, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, რომლის ჩაბარებიდან 10 წელი არ არის გასული.⁶²

კანდიდატთა განაცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სამდივნო ანგარიშს წარუდგენს საბჭოს, რომელიც,

⁵⁵ იქვე, 66¹⁴-ე მუხლი.

⁵⁶ იქვე, 66¹²-ე მუხლი მე-2 პუნქტი.

⁵⁷ იქვე, 66¹⁶-ე მუხლი.

⁵⁸ იქვე, 66¹-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

⁵⁹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://www.hsoj-ge/uploads/tsesdeba.pdf>, განახლებულია, 31.10.2025

⁶⁰ იქვე, მე-3 პუნქტი.

⁶¹ იქვე, მე-4 პუნქტი.

⁶² საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66¹³-ე მუხლი.

საბოლოოდ, იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის რეგისტრაციის თაობაზე. წესდებით გათვალისწინებულია, რომ ეს გადაწყვეტილება 3 კალენდარული დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე.⁶³ ეს მოთხოვნა არ სრულდება და მსმენელთა კონკურსის ყველა ეტაპი გაუმჭირვალედ მიმდინარეობს.⁶⁴

2018 წლიდან, როცა მსმენელთა ჩარიცხვის კონკურსს სრულად საბჭო ატარებდა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით, მსმენელბთან გასაუბრებები დაიხურა.⁶⁵ შემდეგ უკვე სკოლის წესდებაში პირდაპირ ჩაიწერა, რომ მეორე ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან გასაუბრებას ატარებს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო დახურულ სხდომაზე.⁶⁶

კანონი არ არეგულირებს მსმენელთა შერჩევის კრიტერიუმებს. სკოლის წესდებით, იუსტიციის მსმენელობის კანდიდატის შერჩევისას გაითვალისწინება საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგი, აგრეთვე, მისი კვალიფიკაცია, სამართლებრივი ანალიზის, დასაბუთების, ზეპირი კომუნიკაციისა და გამოხატვის უნარები.⁶⁷

გაუგებარია, რის საფუძველზე ფასდება მორალური რეპუტაცია, პიროვნული თვისებები და პროფესიული უნარ-ჩვევები, მით უფრო, რომ წესდება ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილებას, კანდიდატის მიერ პიროვნული თვისებების კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სხვა კრიტერიუმების შეუფასებლად მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება. ბუნდოვანია, ამ კრიტერიუმებით კონკურსანტის შეფასებისას რა მტკიცებულებებსა და წყაროს ეყრდნობა საბჭო.

⁶³ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://www.hsoj.ge/uploads/tsesdeba.pdf>, განახლებულია, 31.10.2025.

⁶⁴ იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებგვერდის მონიტორინგი.

⁶⁵ ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021 წ, გვ 21, https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%20No9.pdf_01722856942.pdf, განახლებულია, 31.10.2025.

⁶⁶ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://www.hsoj.ge/uploads/tsesdeba.pdf>, განახლებულია, 31.10.2025.

⁶⁷ იქვე, მე-3 პუნქტი.

საბჭოს წევრები კანდიდატების შერჩევისას შემდეგი სახის შეფასებებს იყენებენ: ა) აჭარბებს მოთხოვნებს შესამჩნევად; ბ) აჭარბებს მოთხოვნებს ნაწილობრივ; გ) შეესაბამება მოთხოვნებს; დ) შეესაბამება მოთხოვნებს ნაკლებად; ე) არ შეესაბამება მოთხოვნებს. იმ პირობებში, როცა სრულად გაუმჭირვალეა პროცესი, ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია, როგორ ხდება განსხვავებული შეფასებების დასაბუთება.

იუსტიციის მსმენელად ირიცხება კანდიდატი, რომელიც კენჭისყრისას საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტის მხარდაჭერას მოიპოვებს.⁶⁸

სკოლაში მსმენელების მისაღები კონკურსი სრულად გაუმჭირვალედ ტარდება. საიამ გამოითხოვა კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია: დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის ოქმები და შესაბამის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები, მსმენელთა მისაღები კონკურსში კანდიდატთა განაცხადის წარდგენის ვადები, კონკურსში მონაწილე პირთა საერთო რაოდენობა, რამდენი კანდიდატი გადავიდა მეორე ეტაპზე, როდის გაესაუბრა დამოუკიდებელი საბჭო კანდიდატებს და რამდენი ხანი გრძელდებოდა გასაუბრება. თუმცა, იუსტიციის უმაღლეს სკოლას არცერთ მათგანზე პასუხი არ დაუბრუნებია.⁶⁹ იუსტიციის უმაღლესი სკოლა, იუსტიციის საბჭოს მსგავსად, გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტსაც კი არ იცავს. მონაცემების სრულად დახურვისა და თვითნებობის პირობებში, შეუძლებელია სკოლის საქმიანობის მონიტორინგი. შედეგად, საზოგადოებას ერთმევა უფლება, მიიღოს ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც მომავალში პოტენციური მოსამართლეები იქნებიან.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №12, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2024 წ., 16-27 გვ. ხელმისაწვდომია: https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%2012.pdf_01722590007.pdf, განახლებულია: 19.09.2025.

2.3. იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის ეტაპები

კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ იუსტიციის მსმენელის მომზადების სასწავლო პროგრამამ უნდა უზრუნველყოს თეორიული ცოდნის გაღრმავება, პრაქტიკული უნარებისა და თვისებების განვითარება.⁷⁰ სავალდებულო საგნებთან ერთად, პროგრამა, შესაძლოა, ასევე მოიცავდეს არჩევით საგნებს, რომელთა ჩამონათვალს და სწავლების ფორმას ასევე დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო.

სკოლაში სწავლების ფორმებია: სემინარი, სასამართლო პროცესის სიმულაცია, დისკუსია, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისა და მისი დასაბუთების საკითხების სწავლება, სადამოს სწავლება, დისტანციური სწავლება. სასწავლო პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია იუსტიციის მსმენელის მოკლევადიანი მივლინებები სასამართლოსა და პროკურატურაში, ასევე, შესაძლებელია სწავლა ან/და სტაჟირება ქვეყნის ავტორიტეტულ სასწავლო ორგანიზაციაში.⁷¹

სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა 16 თვეა, გამონაკლის შემთხვევაში – 12 თვე.⁷² სრული სასწავლო კურსი მოიცავს თეორიულ კურსს, სტაჟირებას და სემინარულ მუშაობას.⁷³

თეორიული კურსის ხანგრძლივობა სკოლაში ექვსი თვეა, სტაჟირების – რვა თვე, სემინარული მუშაობის – ორი თვე. 12-თვიანი სწავლების დროს სტაჟირების ვადა მცირდება ოთხი თვემდე.⁷⁴

თეორიული კურსისა და სკოლაში სწავლის დასრულების შემდეგ მსმენელი აბარებს გამოცდას.⁷⁵ ამის შემდგომ კი ის გადის სტაჟირებას⁷⁶ საერთო სასამართლოებში, საკონსტიტუციო სასამართლოში, ადვოკა-

⁷⁰ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66²²-ე მუხლი.

⁷¹ იქვე, 66²³-ე მუხლი.

⁷² მსმენელისათვის, რომელსაც აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, საერთო სასამართლოს აპარატის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, მოსამართლის თანამემწედ, სასამართლო სხდომის მდივნად, გამომძიებლად, პროკურორად ან/და ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, სრული სასწავლო კურსის ვადაა 12 თვე.

⁷³ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66²¹-ე მუხლი.

⁷⁴ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების მე-15 მუხლის მე-3, მე-4 პუნქტები. ხელმისაწვდომია: <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.hsoj.ge/uploads/tsesdeba.pdf>, განახლებულია: 20.09.2025.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66²⁶-ე მუხლი.

ტურაში, ნოტარიატში, პროკურატურასა ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებში, რომელთა ჩამონათვალს, სკოლის დირექტორის წარდგინებით, ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო.

სკოლის დირექტორი ნიშნავს სტაჟირების კოორდინატორებს. კოორდინატორი შეიძლება იყოს მოსამართლე, პროკურორი ან ზემოაღნიშნული დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომელიც თითოეულ იუსტიციის მსმენელს ანიჭებს საკვალიფიკაციო ქულას და აძლევს წერილობით რეკომენდაციას.⁷⁷

სტაჟირების დასრულების შემდეგ სკოლა იუსტიციის მსმენელთათვის აწყობს სემინარებს, რომლებიც უზრუნველყოფს თეორიული კურსისა და სტაჟირების გავლის დროს მიღებული ცოდნის, გამოცდილების განზოგადებას, ასევე, სკოლის დამამთავრებელი გამოცდისთვის მის მომზადებას.⁷⁸

სკოლაში სწავლის დასრულების შემდეგ იუსტიციის მსმენელი აბარებს გამოცდას, რომლის მიზანია მის მიერ მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შეფასება.⁷⁹

დამამთავრებელ გამოცდას ატარებს საგამოცდო კომისია. საბჭოს მიერ დანიშნულ კომისიაში სამი წევრის ადგილს იკავებენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტები. საბჭო კომისიის წევრთაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.⁸⁰

მსმენელს სასამართლო პრაქტიკიდან ეძლევა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმე. მან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი კატეგორიის საქმე და მასზე საპროცესო დოკუმენტების პროექტები შეადგინოს.

დამამთავრებელ გამოცდაზე ფასდება საპროცესო ნორმებთან ამ დოკუმენტების შედგენის შესაბამისობა და დასაბუთებულობა. დამამთავრებელი გამოცდა ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ მსმენელი მოაგროვებს არანაკლებ 85 ქულას.⁸¹

დამამთავრებელი გამოცდის შედეგები საჩივრდება საპრეტენზიო კომისიაში, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს სკოლის საბჭო,

⁷⁷ იქვე, 66²⁷-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁷⁸ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების მე-22 მუხლის 1-ლი პუნქტი. ხელმისაწვდომია: <chrome-extension://efaidnbmninnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.hsoj.ge/uploads/tsesdeba.pdf>, განახლებულია: 20.09.2025.

⁷⁹ იქვე, 23-ე მუხლი.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ იქვე, მე-11 პუნქტი.

რომელიც, როგორც წესი, შედგება სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტებისგან.⁸²

სკოლის დამამთავრებელი გამოცდის დასრულებიდან ერთ თვეში სკოლის დირექტორი საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას, რომელშიც გათვალისწინებულია: ა) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტი – 1; ბ) სკოლაში თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტი – 2; გ) სტაჟირების გავლისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტი – 3; დ) სკოლის დამამთავრებელი გამოცდის ჩაბარებისას მიღებული ქულები, რომლის კოეფიციენტი – 4.⁸³

კანონმდებლობის გაცნობისას ნათელი ხდება, რომ მსმენელთა შერჩევის პროცესი გაუმჭვირვალე და ბუნდოვანია. არ არის განსაზღვრული მკაფიო კრიტერიუმები. ასევე, არ არის ცხადი, შეფასებისას რა ინფორმაციებს და წყაროებს ეყრდნობა კომისია, რაც მის წევრებს ფართო დისკრეციას აძლევს. ეს გარემოებები გავლენიან ჯგუფს ფავორიტიზმის და ნეპოტიზმის საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას უადვილებს.

2.4. მოსამართლეთა ვაკანსიების განსაზღვრა

სკოლაში მისაღები კონკურსის გამოცხადებამდე დამოუკიდებელი საბჭო დასაბუთებული გადაწყვეტილებით, სკოლის დაფინანსებისა და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სკოლაში მისაღებ მსმენელთა საერთო რაოდენობას.⁸⁴

მიუხედავად ვაკანსიების დიდი რაოდენობისა, სკოლა, შეზღუდული რესურსების გამო, 30 მსმენელზე მეტს ვერ ამზადებს. 2023 წლის 23 მარტის სხდომაზე საბჭომ, სისტემაში არსებული 95 ვაკანსიის გათვალისწინებით, სკოლას 121 მსმენელის საჭიროების შესახებ გადა-

⁸² საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების მე-24 მუხლის მე-2 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://www.hsoj.ge/uploads/tsesdeba.pdf>. განახლებულია: 20.09.2025.

⁸³ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების მე-25 მუხლის მე-2 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://www.hsoj.ge/uploads/tsesdeba.pdf>. განახლებულია: 20.09.2025.

⁸⁴ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66¹⁵-ე მუხლი.

წყვეტილება წარუდგინა, მაგრამ, არასაკმარისი რესურსების მიზეზით, სკოლამ მხოლოდ 20 მსმენელის მომზადების შესაძლებლობა დაადასტურა. თუ წინა წლების პრაქტიკას გადავხედავთ, სკოლა წელიწადში, მაქსიმუმ, 40 პირის გადამზადებას ახერხებდა.⁸⁵ მისი ამგვარი ფაქტობრივი ქმედუნარიობა განსაკუთრებით პრობლემურია სასამართლოების გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების ფონზე, რაც ინდივიდუალურ მოსამართლეებზე ზეწოლის ბერკეტია.⁸⁶

იმ პირობებში, როცა სამოსამართლო გამოცდილების არმქონე პირისთვის სკოლა ერთადერთი გზაა სისტემაში მოსახვედრად, საბჭოს შეუძლია, უბრალოდ, არ გამოაცხადოს კონკურსი და ხელოვნურად შეაფერხოს ახალი კადრების შედინება სისტემაში. კანონში პირდაპირ ეწერა, რომ სკოლაში მისაღები კონკურსი უნდა ჩატარებულიყო, არანაკლებ, წელიწადში ერთხელ, თუმცა, მაგალითად, 2021-2022 წლებში საბჭოს არცერთი კონკურსი არ გამოუცხადებია. 2025 წლის ივნისში დაჩქარებულად მიღებული ცვლილებებით, კანონიდან ეს ჩანაწერი ამოიღეს და საკითხი მთლიანად იუსტიციის საბჭოს დისკრეციის ფარგლებში მოექცა. მაშინ, როდესაც სისტემაში მუდმივად არის მოსამართლეთა ვაკანსიები, საბჭო არც კი ასაბუთებს, რატომ არ აცხადებს მსმენელთა მისაღებ კონკურსებს.

ამის პარალელურად, ბოლო წლებია, გამოცდილი, კვალიფიციური კადრები ისედაც თავს იკავებენ კონკურსებში მონაწილეობისგან. 2021 წელს 42 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში მხოლოდ 13-მა პირმა წარადგინა განაცხადი.⁸⁷ 2022 წელს კი მოსამართლეთა 76 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში სულ 21 კანდიდატი დარეგისტრირდა.⁸⁸

ამის მიზეზი შეიძლება იყოს: სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა, რომელიც 16 თვეს მოიცავს (მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში 12

⁸⁵ ნოზაძე ნ. იუსტიციის საბჭოს მონიტორინგის №11 ანგარიში, თბილისი, 2023 წ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 19, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/osFIW>, განახლებულია: 19.09.2025.

⁸⁶ ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №10, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2022 წ, გვ. 16

⁸⁷ ნოზაძე ნ. იუსტიციის საბჭოს მონიტორინგის №11 ანგარიში, თბილისი, 2023 წ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 15, ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/osFIW>, განახლებულია: 19.09.2025.

⁸⁸ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის №55/4103-03-ო წერილი.

თვე),⁸⁹ სტიპენდიის ოდენობა,⁹⁰ მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწავლის პერიოდი შეუთავსებელია სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან.

იუსტიციის საბჭო და სკოლა არ არიან გახსნილნი სისტემის გარედან დაინტერესებული კადრების მისაღებად. პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლაში მსმენელებად, ძირითადად, შიდა კადრები (თანაშემწეები, მდივნები) ირიცხებიან. ამასთანავე, სკოლის წარმატებით გავლა მოსამართლედ დანიშვნის გარანტია არ არის. აქაც ფილტრაციას საბჭო აკეთებს. საბჭოს ფილტრი კი მხოლოდ კომპეტენციისა და კეთილსინდისიერების შეფასებას არ მოიცავს. დანიშვნების პროცესზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ საბჭო მოსამართლედ სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფის იდეების მიმართ ლოიალურად განწყობილ პირებს ნიშნავს.

„ადამიანების შერჩევა არ ხდება, თუ ვინმე არ არის მისი რეკომენდატორი. ვინმე პასუხისმგებლობას თუ არ იღებს თანამშრომელსა ან მოსამართლეზე, ფაქტობრივად, ეს არის ძირითადი მიმართულება და მხოლოდ ამ ფორმით ხდება, იშვიათი გამონაკლისების გარდა“.⁹¹

2.5. იუსტიციის უმაღლესი სკოლის არსებული მოდელის გამოწვევები

საბჭოდან სკოლაში მსმენელთა შერჩევის კონკურსის გადატანა, ბოლო წლებში კანონში შეტანილი ცვლილებების მსგავსად, ფასადურია და ამ პროცესს, რეალურად, გავლენიანი ჯგუფი აკონტროლებს.

გამოწვევად რჩება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფართო ჩართულობა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომ-

⁸⁹ იუსტიციის მსმენელისთვის, რომელსაც აქვს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, საერთო სასამართლოს აპარატის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, მოსამართლის თანაშემწედ, სასამართლო სხდომის მდივნად, გამომძიებლად, პროკურორად ან/და ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება.

⁹⁰ იუსტიციის მსმენელი სასწავლო კურსის გავლისას იღებს სახელმწიფო სტიპენდიას, რომლის ოდენობა არ შეიძლება იყოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მინიმალური ხელფასის 1/3-ზე ნაკლები.

⁹¹ წერეთელი ნინო, ნეპოტიზმისა და კრონიზმის ხელშემწყობი ფაქტორები სასამართლო სისტემაში, გვ. 60 თბილისი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://courtwatch.ge/articles/nepotysm-cronyism>, განახლებულია: 20.09.2025.

პლექტებისას. განხორციელებულმა ცვლილებებმა ვერ უზრუნველყო კონტროლის შეზღუდვა, ამ პროცესში საბჭოს მონაწილეობის გამორიცხვა და სკოლის როლის გაძლიერება.

დამოუკიდებელი საბჭო სკოლის მთავარი ორგანოა, რომელიც კოორდინაციას უწევს მის საქმიანობას. სკოლაში იუსტიციის მსმენელად პირის ჩარიცხვისა ან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებებსაც სწორედ დამოუკიდებელი საბჭო იღებს.

საბჭო დაკომპლექტებულია 7 წევრით. აქედან 2-ს (1 მოსამართლე და 1 არამოსამართლე წევრს) ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან.⁹² ეს უკანასკნელი დამატებით ნიშნავს კიდევ 2 წევრს. სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს კიდევ სამ მოსამართლე წევრს მოსამართლეთა კონფერენცია ირჩევს.⁹³ სამწუხაროდ, მოსამართლეთა კონფერენცია, ისევე, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭო, სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფის ინტერესებს ემსახურება. ამის კარგი მაგალითია კონფერენციაზე არსებული არაკონკურენტული გარემო, ჯანსაღი დისკუსიისა და აზრების გაცვლის გარეშე კოლეგიური ორგანოს წევრების არჩევის პრაქტიკა.⁹⁴

ამჟამად, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო გავლენიანი მოსამართლეებით არის დაკომპლექტებული.⁹⁵

პრობლემურია დამოუკიდებელი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესიც. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა უმრავლესობა. დამოუკიდებელი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს სხდომის თავმჯდომარის ხმა.⁹⁶

⁹² საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66³-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

⁹³ იქვე.

⁹⁴ კოალიცია მოსამართლეთა XXXI კონფერენციას ეხმაურება, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2022 წლის 25 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/nMmzfc0>, განახლებულია: 20.09.2025.

⁹⁵ გიორგი მიქაუტაძე, ირაკლი შენგელია და ვასილ მშენიერიძე არაკონკურენტულ გარემოში აირჩია მოსამართლეთა კონფერენციამ, ხოლო დიმიტრი გვრიტიშვილი, იუსტიციის საბჭოში დაბრუნების შემდგომ, უკვე საბჭოს მოსამართლე წევრის კვალით, კვლავ დაბრუნდა დამოუკიდებელ საბჭოში.

⁹⁶ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 66⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

ევროპელ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო დასკვნის თანახმად, მოსამართლეთა სწავლებაზე პასუხისმგებელი ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, ისე იმ ორგანოსგან, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლეთა დანიშვნასა და დისციპლინირებას.⁹⁷ ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროგრამების შედგენასა და ტრენინგის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების დამოუკიდებლობას, მათ შემადგენლობას.⁹⁸

⁹⁷ CONSULTATIVE COUNCIL OF EUROPEAN JUDGES(CCJE)OPINION No. 4, OF THE CONSULTATIVE COUNCIL OF EUROPEAN JUDGES (CCJE), TO THE ATTENTION OF THE COMMITTEE OF MINISTERS OF THE COUNCIL OF EUROPE.

⁹⁸ იქვე.

3. წინასამოსამართლო სწავლების სისტემაები ევროპაში

3.1. წინასამოსამართლო მომზადების სისტემის მნიშვნელობა და ზოგადი დახასიათება სამართლის სისტემების მიხედვით

გასული საუკუნის ბოლოს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლის შერჩევის წესი, მისი სათანადო კვალიფიკაცია, კეთილსინდისიერება და სამოსამართლო უნარების ქონა პირდაპირ აისახება კონვენციით დაცულ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების რეალიზაციაზე.⁹⁹

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) სპეციალური რეკომენდაციით, ყველა მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ცოდნა ეროვნული და საერთაშორისო სამართლის შესახებ, ასევე, უნდა გაიარონ შესაბამისი სწავლება, რათა ეფექტიანად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები.¹⁰⁰ იმის გათვალისწინებით, რომ ტრადიციული საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში შეუძლებელია სამოსამართლო ცოდნისა და უნარ-ჩვევების სრულად დაუფლება, აქტუალურობას არ კარგავს დისკუსია მოსამართლეთა პროფესიული სწავლების სისტემის საჭიროებასა და ფორმებზე.¹⁰¹

სამოსამართლო სწავლების მოდელები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში მოსამართლეთა დანიშვნისა და ამ სისტემების თავისებურებების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა.¹⁰²

საერთო სამართლის ქვეყნებში მოსამართლეები, შედარებით მოგვიანებით კარიერულ ეტაპზე, გამოცდილ პროფესიონალებს შორის შეირჩევიან, მას შემდეგ, რაც ისინი დაამტკიცებენ თავიანთ შესაძლებლობებს პრაქტიკოს იურისტად, პროკურორად ან აკადემიურ სფეროში

⁹⁹ Samuel Spáć, Recruiting European Judges in the Age of Judicial Self-Government, Vol.19, No 07, German Law Journal, 2018, 2080. ხელმისაწვდომია: <https://www.cambridge.org/core/journals/german-law-journal/article/recruiting-european-judges-in-the-age-of-judicial-selfgovernment/4AC9577979DDB841D1FCB3B029408869>, განახლებულია: 28.06.2025.

¹⁰⁰ Consultative Council of European Judges (CCEJ), Opinion No.4 of The Consultative Council of European Judges to the Attention of The Committee of Ministers of The Council of Europe, Strasbourg, 2003, იხ. <https://rm.coe.int/1680747d37>, 2,3. განახლებულია: 28.06.2025.

¹⁰¹ Diana Richards, Current Models of Judicial Training: An Updated Review of Initial and Continuous Training Models Across Western Democratic Jurisdictions, Journal of the International Organization for Judicial Training, issue 5, 2016, 43.

¹⁰² Giacomo Oberto, Selection and Appointment of Judges: Constitutional and Legislative Protection and Defacto Practice, African Group of the International Association of Judges in co-operation with JOASA (Judicial Officers Association of South Africa), Cape Town, 2-6 June 2019, 2.

საქმიანობისას.¹⁰³ ამ პრინციპით მოსამართლის დანიშვნა ეფუძნება კანდიდატის ინდივიდუალურ რეპუტაციას, რაც შესაბამისი წრეების მიერ სასამართლო სისტემის გარედან ფასდება (გამოცდილებაზე და-ფუძნებული მოდელი).¹⁰⁴

ამასთანავე, ამ სისტემაში მოსამართლე პასიურია, რადგან შეზღუდულია პრეცედენტებით.¹⁰⁵ შესაბამისად, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში მოსამართლეთა სწავლების სისტემა უფრო მეტად ორიენტირებულია არა მათი პროფესიული ცოდნის ამატლებაზე, არამედ სამართლებრივი სიახლეების გაცნობაზე.¹⁰⁶

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში მოსამართლეები კარიერას იწყებენ იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე და მათი პროფესიული სოციალიზაცია სასამართლო სისტემის შიგნით ხდება.¹⁰⁷ მოსამართლეები შეირჩევიან კონკურსის შედეგად, რომელშიც მცირე პროფესიული გამოცდილების მქონე იურისტებსაც შეუძლიათ მონაწილეობა.¹⁰⁸ ამ სისტემაში სამოსამართლო სწავლება არა მხოლოდ პროფესიული უნარების გადრმავეების საშუალებაა, არამედ ის ასევე უნდა ემსახურობდეს მართლმსაჯულების სფეროში ინტეგრაციის, კარიერული ზრდის მიზანს და უნდა უზრუნველყოს სტაბილური, პროგნოზირებადი კადრების განვითარების შესაძლებლობა (ბიუროკრატიული/კარიერული მოდელი).¹⁰⁹

პროფესიაში შესვლამდე მოსამართლის მომზადების თვალსაზრისით, როგორც აღინიშნა, მკვლევრები, ჩვეულებრივ, გამოარჩევენ ორ ძირითად მოდელს, რომლებიც შეესაბამება საერთო სამართლის და

¹⁰³ Graham Gee, *Judicial Independence in Transition: The Persistent Politics of Judicial Selection*, Heidelberg, 'Springer Berlin', 2012, 127.

¹⁰⁴ Nuno Garoupa, Tom Ginsburg, *Judicial audiences and reputation: perspectives from comparative law*. Columbia Journal of Transnational Law, Chicago, 2009, 451-490.

¹⁰⁵ Luis Muniz-Arguelles; Migdalia Fraticelli-Torres, *Selection and Training of Judges in Spain, France, West Germany, and England*, Boston College International and, Comparative Law Review 8, no. 1 1985, 2.

¹⁰⁶ Livingston Armytage, *Training of Judges: Reflections on Principle and International Practice*, European Journal of Legal Education 2, no. 1 (2005), 23.

¹⁰⁷ Giacomo Oberto, *Selection and Appointment of Judges: Constitutional and Legislative Protection and Defacto Practice*, African Group of the International Association of Judges in co-operation with JOASA (Judicial Officers Association of South Africa), Cape Town, 2-6 June 2019, 3.

¹⁰⁸ Carlo Guarnieri, *Appointment and Career of Judges in Continental Europe: The Rise of Judicial Self-Government*, Legal Studies, Vol. 24, Society of Legal Scholars (SLS), 2004, 169.

¹⁰⁹ ეკატერინე ციმაკურიძე, „მოსამართლეთა შერჩევა გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში“, დამოუკიდებელი იურისტების ჯგუფი, თბილისი, 2021, 7-8, ხელმისაწვდომია: https://democracyindex.ge/uploads_script/studies/tmp/phpwKU9d.pdf, განახლებულია: 08.05.2025.

კონტინენტური სამართლის სისტემებში მოსამართლეთა მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შორის არსებულ განსხვავებებს.¹¹⁰ თუმცა, ხსენებულ იურისდიქციებში არსებული დანიშვნისა და დაწინაურების მკვეთრად კონტრასტული პრაქტიკაც, დროთა განმავლობაში, დაახლოებისკენ მიისწრაფვის.

კონტინენტური სამართლის ქვეყნები, ისტორიული გამოცდილების საპირისპიროდ, მოსამართლეების თითქმის ნახევარს საერთო სამართლის ქვეყნების მსგავსად ნიშნავენ, უმეტესად, პრაქტიკული გამოცდილების მქონე კანდიდატების წრიდან.¹¹¹ იმავდროულად, საერთო სამართლის ქვეყნები ამცირებენ მოთხოვნებს პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირებით, რათა ხელი შეუწყონ მოსამართლეობის კანდიდატთა არჩევანის მრავალფეროვნებას.¹¹²

დღევანდელი მდგომარეობით, სამართლებრივი სისტემების დაახლოებამ ამ სისტემებში მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ერთიანი სტანდარტის შემუშავება განაპირობა.

ფაქტობრივად, ყველა შესწავლილ ქვეყანაში სავალდებულო ეტაპად გათვალისწინებულია სწავლება მოსამართლის პირველად დანიშვნამდე ან დანიშვნის შემდგომ, ან პრაქტიკა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებამდე, მათ შორის, იმ სახელმწიფოებშიც, სადაც მართლმსაჯულების სკოლები არ არსებობს.

თავდაპირველი სუბტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის ქვეყნები (მაგალითად, ინგლისი, ირლანდია)¹¹³ ახლა უკვე იყენებენ სავალდებულო ტრენინგის სისტემას ახლად დანიშნული მოსამართლეებისთვის.¹¹⁴

¹¹⁰ Giacomo Oberto., Selection and Appointment of Judges: Constitutional and Legislative Protection and Defacto Practice, African Group of the International Association of Judges in co-operation with JOASA (Judicial Officers Association of South Africa), Cape Town, 2-6 June 2019.

¹¹¹ Diana Richards., Judicial Education and Training, Journal of the International Organization for Judicial Training, 2016, "Current Models of Judicial Training: An Updated Review of Initial and Continuous Training Models Across Western Democratic Jurisdictions", 47.

¹¹² Diana Richards., Judicial Education and Training, Journal of the International Organization for Judicial Training, 2016, "Current Models of Judicial Training: An Updated Review of Initial and Continuous Training Models Across Western Democratic Jurisdictions", 47.

¹¹³ Initial Training Judges and Prosecutors European Union, European e-justice portal, იხ. https://e-justice.europa.eu/topics/trainings-judicial-networks-and-agencies/training-justice-professionals/national-training-systems/initial-training-judges-and-prosecutors-european-union/es_en, განახლებულია: 24.06.2025.

¹¹⁴ Diana Richards, დასახელებული ნაშრომი, 43.

3.2. წინასამოსამართლო განათლების დაწესებულებები და მათი ადგილი ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში

მართლმსაჯულების პირველი სკოლა საფრანგეთში 1958 წელს შეიქმნა.¹¹⁵ მის კვლადკვალ, სამოსამართლო სწავლების ინსტიტუტები ჩამოყალიბდა ესპანეთსა და პორტუგალიაში.¹¹⁶ სამივე მათგანში მართლმსაჯულების სკოლა დღეს სისტემაში შესვლისთვის სავალდებულოდ გასავლელი გზაა.¹¹⁷ კონტინენტური სამართლის ზოგიერთმა ქვეყანამ წინასამოსამართლო სწავლება თავად სასამართლოებს და უნივერსიტეტებს მიანდო. მაგალითად, გერმანიაში მოსამართლეები წინასწარ სწავლებას გადიან სასამართლოებში მენტორ მოსამართლეებთან. ესტონეთში სწავლების ადმინისტრირებას უზენაესი სასამართლო უზრუნველყოფს თავისი სტრუქტურული ერთეულის – სამოსამართლო სწავლების დეპარტამენტის მეშვეობით.¹¹⁸

ევროპის ბევრ ქვეყანაში სამოსამართლო სკოლები დამოუკიდებელი ინსტიტუტების სახით, „მოსამართლეთა სკოლის», „მაგისტრატთა სკოლის“, „მოსამართლეთა აკადემიის» და სხვა სახელწოდებით ფუნქციონირებენ. მოსამართლეთა დანიშვნის სისტემების თავისებურებების გათვალისწინებით, განსხვავებულია მათი ინსტიტუციური მოწყობაც. მოდელებში, სადაც მოსამართლეები შეირჩევიან ბიუროკრატიული წესით, კვალიფიკაციის, კეთილსინდისიერებისა და სათანადო სამოსამართლო უნარების საფუძველზე,¹¹⁹ სწავლება უფრო კომპლექსურია და ხშირად ინსტიტუციურად მდგრად, დამოუკიდებელ დაწესებულებად

¹¹⁵ ENM Genesis of the School, იხ. <https://www.enm.justice.fr/en/history> , განახლებულია: 24.06.2025.

¹¹⁶ The Center for Judicial Studies (CEJ), იხ. <https://cej.justica.gov.pt/Sobre-o-CEJ/Quem-somos>, განახლებულია: 24.06.2025.

Luis Muniz-Arguelles; Migdalia Fraticelli-Torres, Selection and Training of Judges in Spain, France, West Germany, and England, Boston College International and, Comparative Law Review 8, no. 1 1985, 1.

¹¹⁷ Initial Training of Judges and Prosecutors European Union, European e-justice portal, იხ. https://e-justice.europa.eu/topics/trainings-judicial-networks-and-agencies/training-justice-professionals/national-training-systems/initial-training-judges-and-prosecutors-europe-an-union/es_en, განახლებულია: 24.06.2025.

¹¹⁸ High Qualification Commission of Judges of Ukraine: Marina Samofal, “Experience of Initial Training of Candidates for a Post of Judge and Newly Appointed Judges in the Member States of European Union”. იხ. <https://rm.coe.int/comparative-study-on-selection-of-judges-eng/1680a59e55>, განახლებულია: 24.06.2025.

¹¹⁹ Samuel Spáč, Recruiting European Judges in the Age of Judicial Self-Government, German Law Journal, Vol.19, No 07. 2080, ხელმისაწვდომია: <https://www.cambridge.org/core/journals/german-law-journal/article/recruiting-european-judges-in-the-age-of-judicial-selfgovernment/4AC9577979DDB841D1FCB3B029408869>, განახლებულია: 24.06.2025.

სებულებებში წინასწარ დამტკიცებული პროგრამით მიმდინარეობს. შესწავლილი ქვეყნებიდან ხუთ მათგანში (საფრანგეთი, ესპანეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, პოლონეთი) ამ ფუნქციას მართლმსაჯულების სკოლები ასრულებენ.

დამოუკიდებელი სკოლები, სტატუსის მიუხედავად, არ სარგებლობენ სრული ინსტიტუციური დამოუკიდებლობით და ავტონომიით. ზოგი მათგანი მეტად დაკავშირებულია მართლმსაჯულების საბჭოებთან,¹²⁰ ზოგი – აღმასრულებელ ხელისუფლებასთან,¹²¹ ზოგი კი (ე.წ. შერეული მოდელები) – როგორც სასამართლო სისტემასთან, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან.¹²²

ევროპული სტანდარტით, მოსამართლეთა სწავლებისას მნიშვნელოვანია, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დაიცვას სისტემური ავტონომიურობისა და ჩაურევლობის პრინციპი.¹²³

მართლმსაჯულების სკოლებს ზოგიერთ ქვეყანაში მხოლოდ განგრძობადი სწავლების კომპეტენცია აქვთ,¹²⁴ ზოგან წინასწარ სწავლებასაც უზრუნველყოფენ,¹²⁵ ხოლო ზოგიერთ სახელმწიფოში, მოსამართლეებთან ერთად, პროკურორთა და სხვა პირთა სწავლებასაც

¹²⁰ ესპანეთსა და ლიეტუვაში მართლმსაჯულების სწავლება მართლმსაჯულების საბჭოების სტრუქტურაშია, ხოლო ესტონეთში – უზენაეს სასამართლოში, დეტალურად იხ. გვ. 6.

¹²¹ ჩეხეთი და გერმანია, დეტალურად იხ. გვ. 8.

¹²² პოლონეთის მართლმსაჯულების სკოლა, რომელიც დამოუკიდებელი იურიდიული პირია, თუმცა, მართლმსაჯულების თვითმმართველობაში იუსტიციის სამინისტროს ქარბი მონაწილეობის გამო, თვალსაჩინო იქნება მისი ცალკე გამოყოფა. დეტალურად იხ. გვ. 11.

¹²³ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, “Judges: Independence, Efficiency and Responsibilities”, CM/Rec 2010(12), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/cmrec-2010-12-on-independence-efficiency-responsibilites-of-judges/16809f007d>, განახლებულია: 14.05.2025.

¹²⁴ მაგალითად, შესწავლილ მოდელებს შორის გერმანიაში მოსამართლეთა წინასწარი სწავლება სასამართლოებში მენტორ მოსამართლეებთან პრაქტიკას მოიცავს, მართლმსაჯულების აკადემია კი მოსამართლეთა და პროკურორთა განგრძობად სწავლებაზეა ორიენტირებული, დეტალურად იხ. https://www.deutsche-richterakademie.de/jcc/draen/nav/42b/42b060c6-20f5-0318-e457-6456350fd4c2&class=net.icteam.cms.utils.search.AttributeManager&class_uBasAttrDef=a001aaaa-aaaa-aaaa-eeee-000000000054.htm, განახლებულია: 24.06.2025.

¹²⁵ საფრანგეთის, ჩეხეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ესპანეთის სკოლები წინასწარ სწავლებასაც უზრუნველყოფენ, Initial Training Judges and Prosecutors European Union, European e-justice portal, იხ. <https://e-justice.europa.eu/topics/trainings-judicial-networks-and-agencies/training-justice-professionals/national-training-systems/initial-training-judges-and-prosecutors-european-union>, განახლებულია: 24.06.2025.

ითავსებენ.¹²⁶ მაგალითად, საფრანგეთის მოსამართლეთა ეროვნული სკოლა (ENM) ამზადებს როგორც მოსამართლეებს, ისე პროკურორებს და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ სხვა პროფესიონალებს (court audience).¹²⁷

ეს ფაქტორები განსაზღვრავს მართლმსაჯულების სკოლის ადგილს და მასთან სხვა უწყებების ინსტიტუციური კავშირის ლოგიკას. მაგალითად, სკოლებში, სადაც, მოსამართლეების გარდა, პროკურორებსაც ამზადებენ, მმართველობით ორგანოებში, მოსამართლეებთან ერთად, პროკურატურის წარმომადგენლებსაც ნიშნავენ.¹²⁸ შესწავლილი ქვეყნების და ევროპული სტანდარტების მაგალითზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სკოლების მმართველობაში მეტწილად მონაწილეობენ სასამართლოს, აკადემიის, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები, ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემის მოწყობის, მოსამართლის დანიშვნისა და სკოლის ფუნქციური დატვირთვის ლოგიკის შესაბამისად.

3.3. სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული სკოლის მოდელი

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ მოდელებს შორისაა რუმინეთის სკოლა - მაგისტრატურის ეროვნული ინსტიტუტი (NIM).¹²⁹ 2004 წლიდან ის გამოვიდა იუსტიციის სამინისტროს ზედამხედველობიდან და ინტეგრირდა მართლმსაჯულების სისტემის საერთო თვითმმართველობით სტრუქტურაში დამოუკიდებელი იურიდიული პირის

¹²⁶ რუმინეთის მაგისტრატურის ეროვნული სკოლა (NIM) ამზადებს როგორც მოსამართლეობის, ასევე პროკურორობის მსურველებსაც; ჩეხეთის მართლმსაჯულების სკოლა უზრუნველყოფს მოსამართლეების, პროკურორების, სასამართლოს მოხელეებისა და სხვა სამართლის ექსპერტების მომზადებასაც. იხ. https://e-justice.europa.eu/sites/default/files/2014-06/Judicial%20training%20in%20CZ_EU_en.pdf?id=6f62d608-4f7c-4f52-92dd-20e371f6714d, განახლებულია: 24.06.2025.

Initial Training Judges and Prosecutors European Union, European e-justice portal, იხ. https://e-justice.europa.eu/topics/trainings-judicial-networks-and-agencies/training-justice-professionals/national-training-systems/initial-training-judges-and-prosecutors-european-union/ro_en, განახლებულია: 26.06.2025.

¹²⁷ National School for The judiciary, იხ. <https://ejtn.eu/office/france-national-school-for-the-judiciary/>, ასევე, <https://www.enm-justice.fr/en/initial-training>, განახლებულია: 26.06.2025.

¹²⁸ მაგალითად, პოლონეთი, იხ. National School of Judiciary and Public Prosecution, <https://ejtn.eu/office/poland-national-school-of-judiciary-and-public-prosecution/>, განახლებულია: 26.06.2025.

¹²⁹ LAW No 304 of 15 November 2022 on judicial organization art. 114.

სახით.¹³⁰ მას აქვს იურიდიული პირის სტატუსი, თავად მართავს ადმინისტრაციას, აქვს აკადემიური თავისუფლება, არჩევს პროგრამებს, სწავლების მეთოდებს და კურსდამთავრებულთა შეფასების სისტემებს. თუმცა, მისი ავტონომია შეზღუდულია და დამოკიდებულია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე. სკოლის პოლიტიკას განსაზღვრავს და მმართველ ორგანოებს აკომპლექტებს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო. მაგისტრატურის ეროვნული ინსტიტუტის (NIM) დირექტორი ანგარიშვალდებულია მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წინაშე.¹³¹ ეს უკანასკნელი ასევე უზრუნველყოფს სკოლაში მსმენელთა ჩარიცხვას და ჩარიცხვის შემდგომ შეფასებას.¹³²

ესპანეთის სამოსამართლო სკოლას (CJS) არ აქვს დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი. ის სრულად ესპანეთის მართლმსაჯულების გენერალურ საბჭოზეა (GCJ) დამოკიდებული. სამართლებრივი თვალსაზრისით, სკოლა ოპერირებს, როგორც გენერალური საბჭოს (GCJ) შემადგენლობაში მყოფი ორგანო, მის მიერ დადგენილი რეგულაციების ფარგლებში.¹³³ მართლმსაჯულების გენერალური საბჭო (GCJ) განსაზღვრავს სკოლის (CJS) სტრუქტურას, ფუნქციონირების წესს, ნიშნავს დირექტორს.¹³⁴

ესტონეთში მოსამართლეთა სწავლების დამოუკიდებელი ინსტიტუტი არ არსებობს და მის ადმინისტრირებას უზენაესი სასამართლო ახორციელებს.¹³⁵ კადრების მომზადებას კოორდინაციას უწევს 9 წევრისგან შემდგარი სასამართლო მომზადების საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან საოლქო, რაიონული და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეები, ასევე, წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროდან, სახელმწიფო პროკურატურის ოფისიდან და ტარტუს უნივერსიტეტიდან.¹³⁶ ამ საბჭოში მოსამართლეები აირჩევიან სასამართლოს კონფერენციის (en banc) მიერ, რომელიც ყველა ესტონელ მოსამართლეს აერთიანებს.¹³⁷ სამინისტრო, სახელმწიფო პროკურატურის ოფისი და უნივერსიტეტი თავად ნიშნავენ თავიანთ წარმომადგენლებს. მომზადების საბჭოს მხარდამჭერ სერვისებს უზრუნვე-

¹³⁰ Bianca Selean-Guțan Romania: Perils of a “Perfect Euro-Model” of Judicial Council , IGerman Law Journal Vol. 19, No. 07, 1719.

¹³¹ LAW No 304 of 15 November 2022 on judicial Organization art.

¹³² დეტალურად, რუმინეთის მაგისტრატურის ეროვნულ ინსტიტუტში ჩარიცხვის და შეფასების შესახებ იხ. გვ. 12.

¹³³ Organic Law 6/1985 on the Judiciary, Spain, Art. 611 (4).

¹³⁴ Organic Law 6/1985 on the Judiciary, Spain, art. 560 (11).

¹³⁵ Republic of Estonia Courts Act, para 62 (2).

¹³⁶ Ibid. para 44 (1).

¹³⁷ Ibid. para 44.

ლყოფს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი ინფორმაციისა და სამოსამართლო სწავლების დეპარტამენტი.¹³⁸

ცალკე ინსტიტუციური სასწავლო დაწესებულება არც ლიეტუვაშია. სამოსამართლო ტრენინგები ტარდება სასამართლოს ადმინისტრაციის მიერ, რომელიც იუსტიციის საბჭოს დამხმარე ორგანოა.¹³⁹ სასწავლო პროგრამასა და მეთოდებს, იუსტიციის საბჭოს მიერ მათი მიღების შემდეგ, იუსტიციის მინისტრი ამტკიცებს.¹⁴⁰

3.4. იუსტიციის სამინისტროსთან დაკავშირებული მოდელი

პოლონეთში იუსტიციის სკოლა ორიენტირებულია მოსამართლეების, პროკურორების, ასევე, სასამართლოს და პროკურატურის მოხელეთა წინასწარ და განგრძობით სწავლებაზე.¹⁴¹ პოლონური მოდელი ასახავს პოლონეთის მართლმსაჯულების სისტემაში აღმასრულებელი ხელისუფლების მნიშვნელოვან როლს სამოსამართლო კადრების მომზადების პროცესში.¹⁴² ეს არის სისტემა, სადაც იუსტიციის სამინისტრო უშუალოდ არის ჩართული სამოსამართლო სკოლის მმართველობით და საორგანიზაციო საკითხებში.¹⁴³ სკოლას აქვს იურიდიული პირის სტატუსი და იმართება იუსტიციის სამინისტროს მიერ დანიშნული დირექტორისა და მმართველი საბჭოს მიერ.¹⁴⁴ იუსტიციის სამინისტრო ამტკიცებს სკოლის რეგლამენტს, განსაზღვრავს მისი დაფინანსების საკითხს.¹⁴⁵ სკოლის დირექტორი და საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები, პროკურორები და აკადემიის წარმომადგენლები. საბჭო შედგება იუსტიციის მინისტრის მიერ 4 წლის ვადით დანიშნული სკოლის დირექტორისა და არაუმეტეს 12 წევრისგან.¹⁴⁶ საბჭოში წევრების წარდგენის უფლებამოსილება აქვთ იუსტიციის საბჭოს, საპროკურორო საბჭოს, გენერალურ პროკურორს, უმაღლესი სასამართლოს და უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარეს, უმაღლეს

¹³⁸ <https://portal.ejtn.eu/en/About-us/Members/Estonia-Supreme-Court-of-Estonia>.

¹³⁹ Republic of Lithuania Law on the National Courts Administration, art 92.

¹⁴⁰ Ibid.

¹⁴¹ ACT on the Polish National School of Judiciary and Public Prosecution art 1.2.

¹⁴² Adam Bodnar, Lukazc Bojarsky, Judicial Independence in Poland, Judicial Independence in Transition, 2012, 17.

¹⁴³ Adam Bodnar, Lukazc Bojarsky, Judicial Independence in Poland, Judicial Independence in Transition, 2012, 17.

¹⁴⁴ ACT on the Polish National School of Judiciary and Public Prosecution, Art. 5.

¹⁴⁵ Ibid. Art. 3, 4.

¹⁴⁶ Ibid. Art 6.

იურიდიულ სასწავლებლებს.¹⁴⁷ ორ მოსამართლე წევრს ნიშნავს თავად იუსტიციის მინისტრი.¹⁴⁸ იმის მიუხედავად, რომ კონკრეტულად იუსტიციის სკოლის საკითხზე მსჯელობა არ ყოფილა, პოლონეთში 2019 წლის საკანონმდებლო რეფორმების როლი უარყოფითად შეფასდა ვენეციის კომისიის მიერ,¹⁴⁹ ზოგადად, მართლმსაჯულებაზე აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენის გაზრდის გამო.

3.5. შერეული მოდელები

შერეულ მოდელებს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩეხეთი და გერმანია. გერმანიაში მართლმსაჯულების აკადემია (Deutsche Richterakademie) არ არის დაფუძნებული სპეციალური კანონით. იგი მოქმედებს სახელმწიფოსა და მიწებს (Land) შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე,¹⁵⁰ შესაბამისად, შეზღუდულია ამ ხელშეკრულების პირობებით. აკადემიის კანონით განსაზღვრული ფუნქციაა მოსამართლეებისა და პროკურორების განგრძობითი პროფესიული განვითარება და სხვადასხვა სამართლებრივ სფეროში სპეციალიზაცია.¹⁵¹ აკადემიის დაფინანსების ან პოლიტიკის განსაზღვრის საკითხებში მონაწილეობენ მიწების და ფედერალური სამინისტროები, სასამართლო დეპარტამენტები.¹⁵²

ჩეხეთში არ არსებობს მართლმსაჯულების საბჭო. სასამართლოს ადმინისტრირების ფუნქცია იუსტიციის სამინისტროს და სასამართლოების თავმჯდომარეებს აკისრიათ.¹⁵³ მოსამართლედ დანიშვნის ერთ-ერთი წინაპირობაა პროფესიული გამოცდის ჩაბარება, თუმცა ამ გამოცდას ადმინისტრირებას არ უწევს მოსამართლეთა აკადემია. მას ნიშნავს და საგამოცდო კომისიას აკომპლექტებს იუსტიციის მინისტრი.¹⁵⁴

¹⁴⁷ Ibid. Art 6 (1).

¹⁴⁸ Ibid. Art 6 (1-2).

¹⁴⁹ CDL-AD(2020)017, Urgent Joint Opinion of the Venice Commission and the Directorate General of Human Rights and Rule of Law (DGI) of the Council of Europe on amendments to the Law on the Common courts, the Law on the Supreme court and some other Laws of Poland. §50.

¹⁵⁰ Administrative Agreement of 1 March 1993 between the Federation and the Länder on the German Judicial Academy.

¹⁵¹ Johannes Riedel, Johannes Riedel, "Training and Recruitment Judges in Germany" International Journal for Court Administration, vol.5, issue 2, 2013, 42-54. ხელმისაწვდომია: <https://iacajournal.org/articles/10.18352/ijca.12>, განახლებულია: 26.06.2025.

¹⁵² Administrative Agreement of 1 March 1993 between the Federation and the Länder on the German Judicial Academy, 3-6.

¹⁵³ Blisa A., Papuskova T., Urbanikova M., "Judicial Self-Government in Czechia: Europe's Black Sheep?", German Law Journal, 2018, vol. 19, no 07. p. 1956.

¹⁵⁴ Act No. 6/2002 "On Courts, Judges, Judges and the State Administration of Courts and on Amendments to Certain Other Acts (Act on Courts and Judges) of Czechia, §.109.

3.6. სამოსამართლო სწავლება – მოსამართლედ დანიშვნის სავალდებულო წინაპირობა

ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსამართლეთა მომზადება სამოსამართლო უფლებამოსილების დაწყებამდე. მხოლოდ განგრძობითი პროფესიული სწავლება არათანმიმდევრულია და ასუსტებს დამსახურებაზე დაფუძნებული დანიშვნის პრინციპს.¹⁵⁵ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) რეკომენდაციით, სავალდებულო წინასწარი ტრენინგი უნდა მოიცავდეს კანდიდატთა პროფესიული გამოცდილებისთვის შესაბამის პროგრამებს.¹⁵⁶ ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს წინა პროფესიული გამოცდილების გათვალისწინებით.¹⁵⁷ ზოგიერთ ქვეყანაში სწავლება ხანგრძლივი და სიდრმისეულია, ზოგიერთში კი – მედარებით მოკლე და, უფრო მეტად, პრაქტიკაზე დაფუძნებული.¹⁵⁸

3.7. წინარე სწავლება მართლმსაჯულების სკოლის გარეთ

გერმანიაში მოსამართლედ კანდიდატის მომზადების სისტემის თავისებურებები განსაზღვრულია მიწების (land) მიხედვით.¹⁵⁹ ფედერალური რეგულაციით, ყველასთვის სავალდებულოა ორი მრავალკომპონენტური სახელმწიფო პროფესიული გამოცდის ჩაბარება და ორწლიანი პრაქტიკის გავლა.¹⁶⁰ სახელმწიფო გამოცდებს ატარებს სახელმწიფო კომისია: პირველ გამოცდას – ფედერალური მასშტაბით, უმაღლეს რეგიონულ სასამართლოსთან თანამშრომლობით, ხოლო მეორეს – მიწის იუსტიციის სამინისტროსთან კოლაბორაციით.¹⁶¹ რო-

¹⁵⁵ Compilation of Venice Commission Opinions and Reports Concerning Judges (CDL-PI(2025)003), 23.

¹⁵⁶ Opinion No. 4 of the Consultative Council of European Judges (CCEJ) “On Appropriate Initial and in-service Training for Judges at National and European Level, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680747d37>, განახლებულია: 24.06.2025.

¹⁵⁷ მოსამართლეთა წესდების ევროპული ქარტია (DAJ/DOC (98) 23), პუნქტი 2.3, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/090000168092934f>, განახლებულია: 24.06.2025.

¹⁵⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, “Judges: Independence, Efficiency and Responsibilities” CM/Rec 2010(12), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/cmrec-2010-12-on-independence-efficiency-responsibilities-of-judges/16809f007d>, განახლებულია: 14.05.2025.

¹⁵⁹ The German Judiciary Act, section 5.

¹⁶⁰ The German Judiciary Act, section 5b.

¹⁶¹ Johannes Riedel, “Training and Recruitment Judges in Germany” International Journal for Court Administration, for Court Administration, vol. 5, issue 2, October of 2013, 43-44, ხელმისაწვდომია: <https://iacajournal.org/articles/10.18352/ijca.12>, განახლებულია: 26.06.2025.

გორც საგამოცდო, ისე პრაქტიკული სწავლების ეტაპზე მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებენ სასამართლო სისტემის წარმომადგენლები.¹⁶² სავალდებულო მოსამზადებელი პრაქტიკა ტარდება, ჩვეულებრივ, სამოქალაქო/სისხლის სამართლის სასამართლოებსა ან პროკურატურის ოფისში, ადმინისტრაციულ ორგანოში, ადვოკატთან, ერთ ან მეტ არჩევით დაწესებულებაში.¹⁶³

მართლმსაჯულების სკოლები არ არის ლიეტუვასა¹⁶⁴ და ესტონეთში,¹⁶⁵ თუმცა წინასწარი და განგრძობითი სწავლება ამ ქვეყნებში მართლმსაჯულების საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს სტრუქტურული ერთეულების მიერაა ორგანიზებული. ესტონეთში, პირველ ეტაპზე, პირები კანდიდატ-მოსამართლის პოზიციამდე ინიშნებიან და მოსამართლის ზედამხედველობის ქვეშ საქმიანობენ, რაც მათი სწავლების და გამოსაცდელი შეფასების პერიოდია.¹⁶⁶ ლიეტუვაში მოსამართლეობის კანდიდატთა სია იქმნება, რომელშიც ისინი სამოსამართლო გამოცდის ჩაბარების და შემოწმების შემდეგ ხვდებიან.¹⁶⁷ დანიშნული მოსამართლეები გადიან არანაკლებ ერთთვიან ადაპტირებით ტრენინგს.¹⁶⁸

¹⁶² High Qualification Commission of Judges of Ukraine: Marina Samofai, "Experience of Initial Training of Candidates for a Post of Judge and Newly Appointed Judges in the Member States of European Union". იხ. <https://rm.coe.int/comparative-study-on-selection-of-judges-eng/1680a59e55>, განახლებულია: 24.06.2025.

¹⁶³ Johannes Riedel, "Training and Recruitment Judges in Germany" International Journal for Court Administration, for Court Administration, vol. 5, issue 2, October of 2013, 43-44.

¹⁶⁴ Republic of Lithuania, Law "On the National Courts Administration", art. 92.

¹⁶⁵ Samofai M., "Experience of Initial Training of Candidates for a Post of Judge and Newly Appointed Judges in the Member States of European Union", ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/comparative-study-on-selection-of-judges-eng/1680a59e55>, განახლებულია: 24.06.2025.

¹⁶⁶ Courts Act of Estonia § 63.

¹⁶⁷ Republic of Lithuania Law on Courts, Article 56.

¹⁶⁸ Ibid.

4. მართლმსაჯულების სკოლაში ჩარიცხვისა და სწავლების ეტაპები

კონკრეტული ქვეყანა, სამართლის სისტემისა და საკუთარი საჭიროების გათვალისწინებით, თავად წყვეტს, როგორ განახორციელებს მოსამართლეთა წინასწარ სწავლებას. ეს საკითხი ქვეყნების ორგანიზაციული კომპეტენციისა და დისკრეციის ფარგლებში ექვევა, შესაბამისად, თითოეული ქვეყნისთვის მისაღები ვარიანტები ტრენინგის ორგანიზებისა და სასამართლოში მოსამართლედ შესვლის გზების განსაზღვრისთვის ინდივიდუალური და საკმაოდ მრავალფეროვანია.¹⁶⁹

ქვეყნებს შორის ძირითადი განსხვავებებია: სკოლაში ჩასარიცხი პირის შეფასების ფორმები, სავალდებულო თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ხანგრძლივობა, მიმღები საგამოცდო კომისიების ფორმირება, გამოცდის სპეციფიკა და შემდგომი შეფასება.

4.1. ჩარიცხვისთვის საჭირო გამოცდილება

კონტინენტური სამართლის ქვეყნების მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის სისტემები ითვალისწინებს მოსამართლეთა სწავლების ხანგრძლივობის განსაზღვრას კანდიდატის გამოცდილების მიხედვით.¹⁷⁰ იტალიასა¹⁷¹ და საფრანგეთში¹⁷² ხანგრძლივ გამოცდილებად მიიჩნევა 15-წლიანი პრაქტიკა, ხოლო ესპანეთში¹⁷³ – 10-წლიანი. მსგავსი მოდელი აქვს რუმინეთსაც, სადაც ხანგრძლივ გამოცდილებად ითვლება 5 წელი.¹⁷⁴ გამოცდილების მქონე მსმენელთა ნაკადებისთვის წინასწარი ტრენინგების ხანგრძლივობა, როგორც წესი, საშუალოდ, 4-იდან 8 თვემდე

¹⁶⁹ Compilation of Venice Commission Opinions and Reports Concerning Judges (CDL-PI(2025)003), pp. 3-5.

¹⁷⁰ Diana Richards., Judicial Education and Training, Journal of the International Organization for Judicial Training, 2016, “Current Models of Judicial Training: An Updated Review of Initial and Continuous Training Models Across Western Democratic Jurisdictions.

¹⁷¹ Diana Richards, Current Models of Judicial Training: An Updated Review of Initial and Continuous Training Models Across Western Democratic Jurisdictions, Journal of the International Organization for Judicial Training, issue 5, 2016, 45.

¹⁷² Ibid. 46.

¹⁷³ Initial Training Judges and Prosecutors European Union, European e-justice portal, იხ. https://e-justice.europa.eu/topics/trainings-judicial-networks-and-agencies/training-justice-professionals/national-training-systems/initial-training-judges-and-prosecutors-european-union/es_en, განახლებულია: 24.06.2025.

¹⁷⁴ European Judicial Training Network. იხ. <https://ejtn.eu/office/romania-national-institute-of-magistracy>, განახლებულია: 24.06.2025.

მერყეობს, ხოლო სამოსამართლო კადრებისთვის, რომლებსაც არ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება, სწავლების პერიოდი მეტია და ის 1,5-3 წელს შეადგენს.¹⁷⁵

4.2. მიმღები ორგანო და პროცედურები

პოლონეთი

პოლონეთში, მართლმსაჯულების სკოლის მსმენელთა მიღების პროცესში მონაწილეობს სკოლის დირექტორი, საგამოცდო გუნდი და საკონკურსო კომისია.¹⁷⁶ საგამოცდო გუნდი კომპლექტდება სკოლის დირექტორის და იუსტიციის მინისტრის მიერ, მოსამართლეების, მათ შორის, სკოლის ლექტორ-მოსამართლეების მონაწილეობით, საგამოცდო საკითხების და დავალებების მომზადების მიზნით.¹⁷⁷

სკოლაში სწავლებისა და გამოცდისგან გათავისუფლებულია კანდიდატი, რომელიც მუშაობდა ადმინისტრაციული ან სამხედრო სასამართლოს მოსამართლედ, პროკურორად, ასევე, თუ არის პოლონეთის უნივერსიტეტის, მეცნიერებათა აკადემიის ან კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი ან სამართლის მეცნიერებათა დოქტორის შემდგომი ხარისხის მქონე პირი.¹⁷⁸

სკოლაში (NSJ) მოსახვედრად კანდიდატები აბარებენ ორეტაპიან (ტესტური და წერიტი) გამოცდას.¹⁷⁹ მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში კი, გადადიან სკოლაში ჩასარიცხი კონკურსის ეტაპზე. მსმენელთა შეფასების მიხედვით, საკონკურსო კომისია ადგენს საკვალიფიკაციო სიას და წარუდგენს სკოლის დირექტორს,¹⁸⁰ რომელიც სიაში მოხვედრილ კანდიდატს, მისი სურვილის გათვალისწინებით, ჩარიცხავს საპროკურორო ან სამოსამართლო კურსზე.¹⁸¹

პოლონეთის მოსამართლეთა სასწავლო პროგრამა დაფუძნებულია თანამედროვე მეთოდოლოგიაზე. ორი წლის განმავლობაში ერთმანეთს რამდენჯერმე ენაცვლება ხანმოკლე (5-დღიანი) თეორიული სესიები მართლმსაჯულების სკოლაში და კანდიდატთა პრაქტიკული

¹⁷⁵ Diana Richards, Current Models of Judicial Training: An Updated Review of Initial and Continuous Training Models Across Western Democratic Jurisdictions, Journal of the International Organization for Judicial Training, issue 5, 2016, 46.

¹⁷⁶ Act on the Polish National School of Judiciary and Public Prosecution art. 32 (5), art. 32 (8.)

¹⁷⁷ Ibid. art. 32 (9.)

¹⁷⁸ Law “On the Organisation of Common Courts of Poland”, para. 61.

¹⁷⁹ Act on the Polish National School of Judiciary and Public Prosecution, art. 32 (5), art. 32, (3.)

¹⁸⁰ Ibid. art 22.

¹⁸¹ Ibid. art 25.

სწავლება ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა უწყებაში, პერსონალური მენტორების ზედამხედველობით. მთლიანი სწავლების 80% სწორედ პრაქტიკულ კომპონენტს ეთმობა. თითოეული ციკლი სრულდება შეფასებით, რაც მოიცავს კანდიდატის მიერ საქმეების ანალიზის, სასამართლო დოკუმენტებზე მუშაობისა და მოდელირებულ პროცესებში მონაწილეობის შეფასებას.¹⁸²

სამოსამართლო კარიერის სტანდარტული გზა გულისხმობს მართლმსაჯულების სკოლაში (NSJ) სწავლას და მინიმუმ ორწლიან სამუშაო პრაქტიკას სასამართლოში სტაჟიორ-მოსამართლის (trainee judge) პოზიციაზე.¹⁸³ სწავლის პროცესი სრულდება პროფესიული გამოცდით, რომლის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კურსდამთავრებულებს შეუძლიათ განაცხადის შეტანა სტაჟიორ-მოსამართლის პოზიციაზე. მოსამართლეთა სტაჟირებაზე დაკვირვება და შემდგომი შეფასება, ფაქტობრივად, ანაცვლებს მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის მექანიზმს.¹⁸⁴

რუმინეთი

რუმინეთში სასამართლო სისტემაში შესვლის ორი გზა არსებობს: პირველი – მართლმსაჯულების სკოლის მაგისტრატურის ეროვნული ინსტიტუტის (NIM) გავლით, რომელშიც კანდიდატები ირიცხებიან მისაღები გამოცდის მეშვეობით, და მეორე – 5-წლიანი პროფესიული გამოცდილების მქონე კანდიდატებისთვის, რომლებიც პირდაპირ მართლმსაჯულების საბჭოს (SCM) წინამე აბარებენ გამოცდას.¹⁸⁵

მაგისტრატურის ეროვნული ინსტიტუტის (NIM) მისაღებ გამოცდას ატარებს მართლმსაჯულების საბჭო (SCM).¹⁸⁶ ამ მიზნით, ის ქმნის საგამოცდო კომიტეტებს მოსამართლეებისა და შესაბამისი დარგის აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისგან.¹⁸⁷

¹⁸² პოლონეთის მართლმსაჯულების სკოლის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://www.kssip.gov.pl/angielski>, განახლებულია: 14.05.2025.

¹⁸³ იქვე.

¹⁸⁴ Adam Bodnar, Lukasz Bojarsky, Judicial Independence in Poland, *Judicial Independence in Transition*, 2012, 17-19.

¹⁸⁵ Comparative Study on the Procedure of Selection and Appointment of Judges of Administrative Court, "Experience of Initial Training of Candidates for a Post of Judge and newly-appointed Judges in Bosnia and Herzegovina, Croatia, Germany, Italy, Serbia, and Slovenia, p. 27, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/comparative-study-on-selection-of-judges-eng/1680a59e55>, განახლებულია: 14.05.2025.

¹⁸⁶ Romanian Law on The Statute of Judges and Prosecutors art. 5 (2).

¹⁸⁷ Ibid.

მოსამართლეთა პროფესიულ კურსზე დაიშვებიან იურიდიული განათლების მქონე პირები.¹⁸⁸ ჩარიცხვის მსურველები რამდენიმე საფეხურს გადიან: ტესტირებას, წერილობით გამოცდას სპეციალიზაციის მიხედვით, ფსიქოლოგიური და პიროვნული უნარების შეფასებას, ზეპირ ინტერვიუს.¹⁸⁹ ყველა ეტაპს ატარებენ და ზედამხედველობენ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს სპეციალური (საორგანიზაციო, საგამოცდო პროგრამის, გასაუბრების და საპრეტენზიო) კომიტეტები.¹⁹⁰

NIM-ში ჩარიცხვის შემდეგ კანდიდატები იღებენ მსმენელის სტატუსს (auditors of justice)¹⁹¹ და გადიან სამწლიან პროფესიულ პროგრამას.¹⁹² სწავლების პირველი ნაწილი თეორიულია და ტარდება უშუალოდ NIM-ის ბაზაზე, ხოლო მეორე ეტაპი მოიცავს პრაქტიკულ მომზადებას სასამართლოსა და პროკურატურის სტრუქტურაში.¹⁹³ ამ პერიოდის განმავლობაში კანდიდატები იღებენ ანაზღაურებას და ექვემდებარებიან შიდა რეგულაციებს.¹⁹⁴

მსმენელები ექვემდებარებიან მიმდინარე და საბოლოო შეფასებას.¹⁹⁵ კურსის დასრულებისას მათ აფასებს ფსიქოლოგთა კომისია. დამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში, ისინი აბარებენ დასკვნით გამოცდას.¹⁹⁶ მიღებული ქულების მიხედვით განისაზღვრება მსმენელთა რეიტინგული სია. ვაკანტურ პოზიციებს შორის თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა აქვთ მაღალი რეიტინგის მქონე მსმენელებს.¹⁹⁷ არჩევის შემდგომ მათ ენიჭებათ კანდიდატი მოსამართლის ან პროკურორის სტატუსი და ინიშნებიან შესაბამის პოზიციებზე.¹⁹⁸ ამ პოზიციაზე ერთწლიანი საქმიანობის შემდეგ კანდიდატი მოსამართლეები მონაწილეობენ საბჭოს მიერ მოსამართლეთა მერჩევის (capacity examination) პროცედურაში, მისი წარმატებით დასრულების შემთხვევაში კი, იღებენ მოსამართლის სტატუსს.¹⁹⁹

¹⁸⁸ Ibid. art. 5.

¹⁸⁹ Ibid. art. 12.

¹⁹⁰ Ibid. art. 6.

¹⁹¹ Ibid. art. 25.

¹⁹² Ibid. art. 283.

¹⁹³ Ibid. art. 25 (2), 26 (1).

¹⁹⁴ Ibid. art. 27.

¹⁹⁵ Ibid. art. 26.

¹⁹⁶ Ibid. 33 (5).

¹⁹⁷ Ibid. art. 20.

¹⁹⁸ Ibid. art. 41.

¹⁹⁹ Ibid. art. 46.

მსურველები, რომლებსაც აქვთ 5-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება,²⁰⁰ როგორც აღინიშნა, არ გადიან სწავლების ეტაპს და ამ საფეხურის გარეშე მონაწილეობენ მოსამართლეთა შესარჩევ (capacity examination) პროცედურაში მართლმსაჯულების საბჭოს წინაშე. პროცესის წარმატებით გავლის შემთხვევაში კი, ინიშნებიან მოსამართლეებად და მხოლოდ ამის შემდგომ გადიან 6-თვიან სწავლებას NIM-ში.²⁰¹

ჩეხეთი

სისტემაში შესვლის სავალდებულო წინაპირობა ჩეხეთშიც გამოცდაა,²⁰² რომელზეც დაიშვებიან სამართლის მაგისტრის სტატუსის მქონე პირები იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით:

- მოსამართლის ასისტენტი, რომელსაც აქვს არანაკლებ სამწლიანი პრაქტიკული გამოცდილება და აქედან ერთი წელი მაინც იმუშავა მოსამართლის თანაშემწედ.²⁰³ გამოცდაზე დასაშვებად საჭირო პრაქტიკული გამოცდილება განსაზღვრულია კანონით და მოიცავს მართლმსაჯულების, სანოტარო, აღსრულების სფეროში, საკანონმდებლო აქტებზე მუშაობით დაგროვილ პროფესიულ გამოცდილებას.²⁰⁴
- უფროსი სასამართლო ოფიცერი ან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე.²⁰⁵
- საჯარო მოხელე, რომელსაც აქვს მოსამართლის ან პროკურორის თანაშემწედ, იურისტ-კონსულტანტად, ნოტარიუსად ან მსგავს პოზიციებზე საქმიანობის მინიმუმ ოთხწლიანი პრაქტიკული გამოცდილება.²⁰⁶
- სამართლებრივი მიმართულებით დასაქმებული საჯარო მოხელე, რომელსაც აქვს ხელფასის არანაკლებ მე-13 კლასი და 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება, მიღებული აქვს უმაღლესი ქულები ბოლო სამსახურებრივი შეფასებისას და გადართობს აქვს საგამოცდო მოსაკრებელი.²⁰⁷

²⁰⁰ Ibid. art. 64.

²⁰¹ Ibid. art. 33.

²⁰² Act No. 6/2002 “On Courts, Judges, Judges and the State Administration of Courts and on Amendments to Certain Other Acts (Act on Courts and Judges) of Czechia §109.

²⁰³ Ibid. §110 (1).

²⁰⁴ Ibid. §110 (3).

²⁰⁵ Ibid. §111 (1).

²⁰⁶ Ibid. §111 (2).

²⁰⁷ Ibid. §60.

სამოსამართლო გამოცდისგან თავისუფლდებიან პირები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ იურისტ-მსმენელის დასკვნითი გამოცდა, ადვოკატის, ნოტარიუსის, პროფესიული ადმასრულებლის გამოცდა, ან აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება.²⁰⁸

გამოცდა ორეტაპიანია: წერითი და ზეპირი. ის ორიენტირებულია არა მხოლოდ კანდიდატთა თეორიული სამართლებრივი ცოდნის, არამედ, ასევე, საპროცესო-სამართლებრივი უნარების შემოწმებაზე.²⁰⁹ გამოცდა ბარდება იუსტიციის მინისტრის მიერ დაკომპლექტებული საგამოცდო კომისიის წინაშე.²¹⁰ კომისია ხუთი წევრისგან შედგება. აქედან უმრავლესობა მოსამართლეა, დანარჩენები კი იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები ან, შესაძლებლობის შემთხვევაში, აკადემიის წარმომადგენლები არიან.²¹¹

პროფესიული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კანდიდატმა უნდა გაიაროს ერთწლიანი მოსამზადებელი კურსი მართლმსაჯულების აკადემიაში.²¹² ეს შესაძლებელია როგორც პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოების სხვადასხვა დეპარტამენტში მუშაობით, ასევე იუსტიციის აკადემიის სასწავლო ღონისძიებებზე დასწრებით, რომლებიც, ძირითადად, პრაქტიკული სემინარების და სიმულაციური პროცესების სახით ტარდება.²¹³ მოსამართლეობის კანდიდატს ჰყავს ტრენერი იმ სასამართლო დეპარტამენტში, რომელშიც ის მუშაობს. ტრენერები არიან მოსამართლეები, რომლებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს რეგიონული სასამართლოს თავმჯდომარე.²¹⁴ ისინი, საბოლოოდ, აფასებენ მოსამართლეობის კანდიდატის მუშაობას ამ დეპარტამენტში.²¹⁵

²⁰⁸ Ibid. §60 (3).

²⁰⁹ Ibid. §§109-111.

²¹⁰ Ibid. §109 (1)

²¹¹ Ibid. §109.

²¹² Initial Training of judges and Prosecutors in the European Union - Czechia, European Justice (E-Justice), ხელმისაწვდომია: https://e-justice.europa.eu/topics/trainings-judicial-networks-and-agencies/training-justice-professionals/national-training-systems/initial-training-judges-and-prosecutors-european-union/cz_en, განახლებულია: 24.06.2025.

²¹³ Initial Training of judges and Prosecutors in the European Union - Czechia, European Justice (E-Justice), ხელმისაწვდომია: https://e-justice.europa.eu/topics/trainings-judicial-networks-and-agencies/training-justice-professionals/national-training-systems/initial-training-judges-and-prosecutors-european-union/cz_en, განახლებულია: 25.06.2025.

²¹⁴ Ibid.

²¹⁵ Ibid.

კანდიდატთან იღება შრომითი ხელშეკრულება და მისი წინასწარი მომზადების პერიოდში ის იღებს ხელფასს შესაბამის სასამართლოში მუშაობის სანაცვლოდ.²¹⁶ მოსამართლეობის კანდიდატების გარდა, მოსამართლის პოზიციის დასაკავებლად შესარჩევი კომისიისთვის მიმართვა შეუძლიათ მართლმსაჯულების სფეროში მუშაობის 5-წლიანი გამოცდილების მქონე იურისტებს (ადვოკატი, პროკურორი, ნოტარიუსი, აღმასრულებელი, მოსამართლე) ან 10-წლიანი სამეცნიერო გამოცდილების მქონე სამართლის სპეციალისტებს.²¹⁷ შერჩევის ეს საფეხური სამეტაპიანია: წერითი გამოცდა, ფსიქოლოგიური ტესტი და გასაუბრება. სამივე ეტაპის შედეგების გათვალისწინებით, კომისია კანდიდატს შეაფასებს 10-ქულიანი სისტემით, წარმატებულს კი მოსამართლედ დანიშნავს იუსტიციის მინისტრი.²¹⁸

პროფესიული მომზადებისგან თავისუფლებიან პროკურორის, ადვოკატის, ნოტარიუსის, სასამართლო აღმასრულებლის პოზიციაზე ან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის 5-წლიანი გამოცდილების მქონე პირები, ასევე, კანდიდატები, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო, პედაგოგიური საქმიანობის 10-წლიანი გამოცდილება ან სასამართლო გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობის პრაქტიკა, აგრეთვე, კანონმდებლობით სფეროში დასაქმებული მაღალი კლასის მქონე მოხელეები 15-წლიანი გამოცდილებით.²¹⁹

ლიეტუვა

ლიეტუვაში მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს ერთსაფეხურიანი სამართლებრივი განათლების, მათ შორის, ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს პროფესიით მუშაობის ხუთწლიანი გამოცდილება და ჩააბარებს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდას.²²⁰ დოქტორის ხარისხის მქონე და 5-წლიანი სამოსამართლო

²¹⁶ Act No. 6/2002 “On Courts, Judges, Judges and the State Administration of Courts and on Amendments to Certain Other Acts (Act on Courts and Judges) of Czechia, § 114.

²¹⁷ Ibid, para. 116-117.

²¹⁸ Initial Training of judges and Prosecutors in the European Union - Czechia, European Justice (E-Justice), ხელმისაწვდომია: https://e-justice.europa.eu/topics/trainings-judicial-networks-and-agencies/training-justice-professionals/national-training-systems/initial-training-judges-and-prosecutors-european-union/cz_en, განახლებულია: 24.06.2025.

²¹⁹ Act No. 6/2002 “On Courts, Judges, Judges and the State Administration of Courts and on Amendments to Certain Other Acts (Act on Courts and Judges) of Czechia 117.

²²⁰ Republic of Lithuania Law “On the National Courts Administration”, art 51.

გამოცდილების მქონე კანდიდატები (თუ გამოცდის ჩაბარებიდან გასული არ არის ხუთ წელზე მეტი) გამოცდისგან თავისუფლდებიან.²²¹

კანდიდატთა საგამოცდო კომისიას აკომპლექტებს მართლმსაჯულების საბჭო შემდეგი შემადგენლობით: მართლმსაჯულების საბჭოს თავმჯდომარის მიერ დასახელებული ორი მოსამართლე და ერთი – აკადემიის წარმომადგენელი, იუსტიციის მინისტრის და მოსამართლეთა ყველაზე დიდი ასოციაციის მიერ ნომინირებული თითო მოსამართლე და თითო – აკადემიის წარმომადგენელი.²²²

წარმატებულ კანდიდატთა სია ეგზავნება მართლმსაჯულების საბჭოს და შესარჩევ კომისიას,²²³ რომელიც 7 წევრისგან შედგება. აქედან 3 – მართლმსაჯულების საბჭოს მიერ დანიშნული მოსამართლეა, ხოლო 4 – საზოგადოების წარმომადგენელი. მათ ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი.²²⁴ დოკუმენტების შემოწმების და გასაუბრების შემდეგ კომისია ადგენს სიას, ვინ შეიძლება დაინიშნოს ვაკანტურ ადგილებზე და ვინ – სამომავლო ვაკანსიებზე (სარეზერვო წევრები). კომისია დასანიშნ კანდიდატთა სიას უგზავნის პრეზიდენტს.²²⁵ დანიშნულ პირებს უტარდებათ წინასამოსამართლო ტრენინგი,²²⁶ რომელიც მინიმუმ ერთი თვე გრძელდება. ტრენინგებს აორგანიზებს მართლმსაჯულების ეროვნული ადმინისტრაცია, რომელიც არის მართლმსაჯულების საბჭოს დამხმარე ორგანო კანონის საფუძველზე შექმნილი სპეციალური ფუნქციებით.²²⁷

ესტონეთი

ესტონეთში საგამოცდო საბჭო აფასებს კანდიდატების მიერ სამართლის ცოდნას, ატარებს მათთან გასაუბრებას და, მოსამზადებელ კურსზე ჩასარიცხად, წარუდგენს მათ შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის სწავლებაზე დაშვების შესახებ.²²⁸ მოსამზადებელ სწავლებაზე ჩარი-

²²¹ Ibid.

²²² Ibid. art. 54.

²²³ Ibid. art. 55.

²²⁴ Ibid.

²²⁵ Ibid. art. 55¹ (1).

²²⁶ Ibid. art. 92.

²²⁷ Ibid. art 2.

²²⁸ Courts Act of Estonia, § 47.

ცხული პირები სარგებლობენ მოსამართლეობის კანდიდატის სტატუსით. მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა 2 წელია.²²⁹

სპეციალური მომზადებისგან თავისუფლებიან არა მხოლოდ მოსამართლედ, არამედ ადვოკატად (ადვოკატის ფიცის დადების შემდეგ) ან პროკურორად მუშაობის 2-წლიანი გამოცდილების მქონე პირებიც, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.²³⁰

მოსამართლის საკვალიფიკაციო სისტემა მოიცავს კომპლექსურ გამოცდას, რომელიც შედგება თეორიული ცოდნის ზეპირი შეფასებისა და კონკრეტული საქმის წერილობითი ანალიზისგან.²³¹ კანდიდატები ამ გამოცდას აბარებენ მოსამზადებელი პროგრამის დასრულებამდე არაუადრეს ოთხი თვისა.²³² მოსამართლეებს აფასებს საგამოცდო კომიტეტი,²³³ რომელიც შედგება ათი წევრისგან. მათ შორის არიან: მოსამართლეთა კონფერენციის (en banc) მიერ არჩეული პირველი ინსტანციის ორი მოსამართლე, საოლქო სასამართლოს ორი მოსამართლე, უზენაესი სასამართლოს ორი მოსამართლე, წარმომადგენლები ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიდან და იუსტიციის სამინისტროდან, ადვოკატთა ასოციაციის მიერ არჩეული ადვოკატი და გენერალური პროკურორის მიერ დანიშნული პროკურორი.²³⁴ კომიტეტი თავად განსაზღვრავს თავისი მუშაობის წესებს, ხოლო მის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზენაესი სასამართლო უზრუნველყოფს.²³⁵

²²⁹ Ligi T., *Judicial Independence in Estonia*, “Judicial Independence in Transition”, 2012, page 757.

²³⁰ Ibid.

²³¹ Courts Act of Estonia, §§ 65, 67.

²³² Ibid.

²³³ Ibid. § 68.

²³⁴ Ibid. § 69.

²³⁵ Ibid.

შეჯამება

საქართველოში წლების განმავლობაში გატარებული რეფორმები ნაკლებად იყო ორიენტირებული სასამართლო სისტემაში არსებული სტრუქტურების რეალურ გაძლიერებასა და დამოუკიდებლობაზე, მათზე იუსტიციის საბჭოს გადაჭარბებული გავლენის რისკების შემცირებაზე.

ფასადური რეფორმების მიღმა, სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების არსებობა და, შედეგად, მართლმსაჯულების ხარისხის გაუარესება შემთხვევითი არ არის. მუდმივ ვაკანსიებს და გადატვირთულობის მოუგვარებელ პრობლემას საბჭო მოსამართლეებზე ზეწოლის ბერკეტად იყენებს. ვაკანსიების დიდი რაოდენობა და მსურველთა ნაკლებობა მიუთითებს, რომ კვალიფიციური იურისტებისთვის სასამართლოში კარიერა მიმზიდველი აღარ არის სწორედ არაფორმალური გავლენებისა და სისტემის კლანურობის გამო.

არაკონკურენტული გარემო პირდაპირ უკავშირდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკას, დააკომპლექტოს სასამართლოები მხოლოდ მის მიერ შერჩეული ლოიალური კადრებით.

გავლენიანი ჯგუფი არჩევანს, ძირითადად, შიდა კადრებზე აკეთებს და სისტემას სასურველი მოსამართლეებით აკომპლექტებს. ბოლო წლების გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, კიდევ უფრო ნათელი ხდება ორი მთავარი გამოწვევა: გავლენიანი ჯგუფის არსებობა და სისტემის სრულად ჩაყეტვა, რათა საზოგადოებას ხელი არ მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე, ვინ ირიცხება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, როგორ ხდება მათი გადარჩევა და მოსამართლედ დანიშვნა.

როგორც კვლევის პირველ ნაწილშია მოცემული, წლებია, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრულად აკონტროლებს სასამართლოების დაკომპლექტების პროცესს (საკვალიფიკაციო გამოცდა, იუსტიციის უმაღლესი სკოლა). არსებული ფილტრების გამოყენებით, სხვადასხვა ეტაპზე, მას შეუძლია, არ შეუშვას სისტემაში არასასურველი კადრები. კვლევიდან ასევე ნათლად იკვეთება მისი ფართო როლი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების, იუსტიციის სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დაკომპლექტებისა და, ზოგადად, მსმენელთა ჩარიცხვის პროცესზე.

კვლევის მეორე ნაწილში მიმოხილულია საერთაშორისო გამოცდილება: როგორ ხდება სისტემაში მოსამართლედ შესვლა, რა წინაპირობები არსებობს და რა ორგანოები უზრუნველყოფენ ამ პროცესს.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სამოსამართლო უფლებამოსილებების განხორციელების დაწყებამდე მოსამართლეთა სპეციალური მომზადება მიღებული და დანერგილია ყველა შესწავლილ ქვეყანაში. მართლმსაჯულების სკოლები, დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსის მიუხედავად, სრულად ავტონომიური უწყების სახით არ არსებობენ. ისინი ინარჩუნებენ მეტ-ნაკლებ კავშირს და ბმას მართლმსაჯულების თვითმმართველობის ორგანოებთან, სასამართლოებთან, იუსტიციის სამინისტროსთან.

მართლმსაჯულების სკოლები ყველგან არ არიან აღჭურვილნი მოსამართლეთა წინასწარი მომზადების ფუნქციით. ზოგან ისინი განგრძობით განათლებაზე არიან ორიენტირებულნი.

ყველა შესწავლილ ქვეყანაში მომზადების პროცესი რამდენიმე საფეხურს მოიცავს. მოსამართლის წინასწარი მომზადების ხანგრძლივობა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით, განისაზღვრება მოსამართლეობის კანდიდატის წინა პროფესიული გამოცდილების შესაბამისად და მერყეობს 4 თვიდან 3 წლამდე.

ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლის წინასწარი მომზადების კურსის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ეტაპია პრაქტიკა. ხშირად ამაში მოიწერება სასამართლოში ანაზღაურებადი საქმიანობა, რომელიც ანაცვლებს მოსამართლის გამოსაცდელ ვადას.

მართლმსაჯულების სკოლებში ჩასარიცხად კანდიდატები გადიან კომპლექსურ შემოწმებას. სხვადასხვა ქვეყანაში მათ შერჩევას უზრუნველყოფს როგორც თავად სკოლა, ასევე მართლმსაჯულების საბჭო.

არსებული პრაქტიკისა და საერთაშორისო მოდელების შესწავლა ნათლად აჩვენებს, რომ რთულია ერთი კონკრეტული მოდელის პირდაპირ გადმოტანა სხვა ქვეყნიდან. მნიშვნელოვანია ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინება. მომავალი ძირეული რეფორმების გატარებისას დაბალანსებულად უნდა განაწილდეს ფუნქციები სასამართლო სისტემაში, ვინაიდან ერთი ორგანოს ხელში ფართო და დისკრეციული ძალაუფლების გადაცემა იწვევს იმ შედეგს, რომლის წინაშეც დღეს დგას საქართველოს სასამართლო სისტემა.